პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 40 (50). პარასკევი, 1 დეკემბერი, 1944 წ. ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში:

— სერგეი კიროვი (მოწინავე).
— დავით გაჩეჩილაძე—სალამური (ლექსი).
— ლეო ქიაჩელი — უდიდესი რუსი იგავთმწერალი.
— ახალი წიგნი სტალინზე.
— აკად. დ. უზნაძე — ი. გრიშაშვილის პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.
— ნატო ვაჩნაძე — ვანო სარაჯიშვილი ეკრანზე.
— დიმიტრი ჭეიშვილი — ლიტერატურული ბათუმი.
— გიორგი შატბერაშვილი — მარცხენა ხელით ნაწერი, თითქმის მუხამბაზი (ლექსები).
— სერგო კლდიაშვილი — ქალი-ხაჭაპურიანი (მოთხრობა).
— როდიონ ქორქია — ზარნიში (მოთხრობა).
— მიხეილ ჩიქოვანი — ილია მურომეცი (ქართულად თარგმნის გამო).
— თედო სახოკია — ხატოვანი სიტყვა-თქმანი.
— ქრონიკა და ინფორმაცია.



# სერგეი კიროვი

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხის მტრებმა, ფაშისტთა მოსყიდულმა აგენტებმა ვერაგულად მოჰკლეს პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საყვარელი ადამიანი — სერგეი მირონის-ძე კიროვი. კიროვის სახით ლენინ-სტალინის პარტიამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო შვილთაგანი, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი და რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი.

სერგეი მირონის-ძე კიროვი, დიდი **სტალინის** უახლოესი და საუკეთესო თანამებრძოლი, დაუშრეტელი ენერგიისა და შემოქმედებითი ცეცხლით აღგზნებული რევოლუციონერი იყო. მისი ცხოვრების სპეტაკი გზა ორგანიულად იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღორძინებისათვის ბრძოლის ბრწყინვალე ისტორიასთან. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა მშრომელთა თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას, მასების ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით აღზრდას, მათ მონოლიტურ შემჭიდროებას ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორის, ხალხთა ბრძენი ბელადის — დიდი სტალინის გარშემო.

განუზომელია კიროვის ღვაწლი და თავდადება. განსაცვიფრებელი და წარმტაცია მისი გმირული მუშაობა, ცხოვრება და ბრძოლა, როგორც მძვინვარე სამოქალაქო ომის ფრონტებზე და აღდგენითი პერიოდის დაძაბულ წლებში, ისე სტალინური ხუთწლედების, სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვების ეპოქაში. სერგეი კიროვი მუდამ მოწინავე პოზიციაზე იდგა, მის სახეში განხორციელებული იყო ყველა საუკეთესო თვისება საბჭოთა ხალხისა. იგი იყო კლასიკური სახე ბოლშევიკისა, განხორციელება ბოლშევიკური პრინციპულობისა, გამჭრიახობისა, ორგანიზებულობისა, მაღალი იდეური წრთობისა და ულრმესი ერთგულებისა ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი.

სერგეი კიროვის მდიდარი და ნათელი ცხოვრების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოღვაწეობას ამიერ-კავკასიაში. კიროვის სახელი მტკიცედ არის დაკავშირებული ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და ხალხთა შორის ლენინურ-სტალინურ მეგობრობის განმტკიცებასთან სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში. არასოდეს დაივიწყებენ კავკასიის ხალხები კიროვის ამაგს. ყოველი ქართველი თავის შთამომავლობას გადასცემს გულის სიღრმიდან მომდინარე მშობლიურ სიყვარულს იმ კრისტალური ბოლშევიკის მიმართ, რომელიც თავდადებულად მუშაობდა და იბრძოდა იმისათვის, რათა კავკასიის ხალხები ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის, მზიური ცხოვრების გზაზე გამოსულიყვნენ.

პარტიამ კიროვს ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დააკისრა. სერგეი კიროვმა, როგორც შესანიშნავმა ბოლშევიკურმა ორგანიზატორმა, გაანადგურა პარტიისა და ხალხის მტრები, ფაშისტთა მოსყიდული აგენტები — ტროცკისტ-ბუხარინელები. კიროვმა უზრუნველჰყო ლენინის ქალაქის სამრეწველო და კულტურული აღორძინება. კიროვის გულისხმიერმა ზრუნვამ და მუშაობამ ყოველ ლენინგრადელ პატრიოტს შთაუნერგა გმირული სიმტკიცე, ბრძოლაში შეუპოვრობა, მტრისადმი შეურიგებელი სიძულვილი, ხალხისა და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი დაუცხრომელი სიყვარული.

სერგეი მირონის-ძე ყოველთვის ხალხთან იყო, — მაშინაც, როცა ის უკულმართი ცხოვრების მძიმე ბორკილებს ამსხვრევდა და მაშინაც, როცა თავისუფალ ქვეყანაში სოციალისტურ, — საამურსა და ბედნიერ ცხოვრებას ჰქმნიდა. სერგეი მირონის-ძე კიროვი აღვივებდა, ზრდიდა, ანთებდა ხალხის გულში უძლიერეს და ულრმეს სიძულვილს ფაშისტური ველურობისა და ბარბაროსობის მიმართ. კიროვი ნერგავდა მასებში სოციალისტურ სამშობლოსადმი ულრმეს სიყვარულს.

დიდი პატრიოტული სულის ადამიანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე სწამდა თავისუფალი საბჭოთა ხალხის სასწაულებრივი ძალა. მას სწამდა, რომ მუშათა და გლეხთა მასები, რომელთაც უყვართ სიცოცხლე და თავისუფლება, არასოდეს არ დანებდებიან მტერს, ისინი სიკვდილს უფრო არჩევენ, ვიდრე მტრისადმი მორჩილებას; ამ სულისკვეთებით ზრდიდა კიროვი საბჭოთა პატრიოტების მთელ თაობებს. ამ მუშაობამ, კიროვის ამ ღვაწლმა თავისი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, როგორც ადრე, ისე შემდგომაც — სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

საბჭოთა ხალხმა და სახელოვანმა წითელმა არმიამ გაანადგურეს ფაშისტთა ურდოები, განდევნეს ისინი ჩვენი სამშობლოს მიწაწყლიდან და ახლა მხეცს მისავე საკუთარ ბუნაგში სპობენ.

სერგეი მირონის-ძე კიროვი მოჰკლეს ხალხის მტრებმა ფიზიკურად, მაგრამ იგი თავისი მებრძოლი, დაუცხრომელი სულით ყოველთვის ჩვენთან იქნება. იგი ჩვენთან იყო სამამულო ომის მძიმე დღეებში, ამხნევებდა, გმირობისა და ვაჟკაცობისაკენ მოუხმობდა ლენინგრადელ მებრძოლებს, მისი ნათელი სახე გმირულ სულსა და ზღაპრულ გამძლეობას განამტკიცებდა ლენინგრადის ყოველ დამცველში. ჩვენი გმირების თავგანწირულებაში, საბჭოთა ადამიანების სიმტკიცესა და თავდადებაში, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ფოლადისებურ მთლიანობაში, ფრონტისა და ზურგის სახელოვან საქმეებში კვლავ ცოცხლობს უკვდავი სახე კიროვისა, ეს სახე მარად უკვდავი დარჩება, როგორც სიმბოლო სიმტკიცისა, სამშობლოს ღრმა სიყვარულისა, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა.

---

დავით გაჩეჩილაძე

# სალამური

*მცხეთაში, ერთ სამარხში ნახეს მწყემსი ბიჭის თავისქალა და სალამური.*

ჰეი, ფრთხილად! ფერფლს ფეხი არ დააბიჯოთ...
გამარჯობა, შენ მცხეთელო მწყემსის ბიჭო!
ქვის კუბოში მზე ჩადგა და აღარ ბნელა.

სიჩუმეა. თავს დაგნათის ზეცა ლურჯი
და ვგრძნობ თითქოს დაფუსფუსებს სალამურში
შენი სევდა ჩუმად, როგორც ჭიანჭველა.

განა მართლა მწყემსი იყავ თმახუჭუჭა...
ახმიანდი ქართლის მიწა ერთი მუჭა,
დასძარ სიო და შთაბერე სალამურსა!

და კომბალით კვლავ გაივლის ლანდი შენი,
და კვლავ შრიალს დაიწყებენ ხევში ხენი,
სად შენს ფარას მტკვრის ელვარე წყალი უსვამს.

შთაბერე და შემოსილი ვეფხის ქურქით,
ხელმოჩრდილივით ცას გახედავს ასპარუგი,¹)
აღდგებიან ძველ ციხეთა ნანგრევები;

შორს დარეკავს ზანზალაკი ქარავანთა
და დაისით შეწითლებულ გალავანთან
ღრუბლებივით თავს ასწევენ აქლემები.

ამთქნარებენ, აქ თავდება მიწა იქნებ...
ძთის მაღლობზე ელვასავით ხმალს რომ იქნევს,
არმაზია, წმინდა კვამლით შენისლული.

აი მცხეთა, ქართლის ფუძე, ქართლის დედა...
რას მოსთქვამდა შის ხავსიან მკლავზე ნეტავ
ჩქერი მტკვრისა თუ მშფოთვარე ქართვლის სული?

ან შენ ბიჭო სად ვიდოდი ჩუმ ოცნებით,
სად შემოგხვდნენ მტრის მრისხანე მუბოსნები?
აქ ხომ ყველგან მებრძოლ გმირთა ნალმუვლია...

ცა მცხეთისა რამდენ ისარს გაუბზარავს,
იმ ღრეებზე მიხეთქებულ რამდენ ფარას
ზღვის ქაფიან ზვირთებივით გადუვლია?

ხომ იბრძოდი? ხომ გიყვარდა ჩვენი ზეცა?
აბჯრის ნაცვლად შენ სინათლე ტანზე გეცვა,
მზის ნათელი, გადმოსული მაღალ ციდან.

შენ კვდებოდი და წყვდიადში ლოცვის ხმებით,
გულცივ არმაზს გარს უვლიდნენ ქურუმები,
მოქანცულნი, ჩირაღდნების ბარბაცითა.

შენ კვდებოდი, და ბალახში დანამული
თურმე ძაღლმა მოგიტანა სალამური,
თვალწინ დაჯდა მოწყენილი ლაშის ბინდათ;

რომ შთაბერე, კვლავ აენთო ზეცა ლურჯი
და ტკივილით ათრთოლებულ სალამურში
უცოდველი შენი სული ამოფრინდა.

ამოფრინდა, და ბუჩქებში ჩიტის ხმებთან
ვარდისფერმა განთიადმა შეიერთა;
ო, ეს მოხდა უთვალავი წლების წინად...

მაგრამ ბიჭო შენ სიწმინდეს შეუბღალავს,
იმ შენ გრძნობებს, ვით თოვლის ქვეშ მინდვრის ბალახს,
აქ მახლობლად უსათუოდ სადმე სძინავთ.

¹) ასპარუგი—პიტიახში.

---

# ახალი წიგნი სტალინზე

მწერალი დავით კასრაძე დიდი ხანია მუშაობს დიდი ბელადის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებზე. საბლიტგამმა გამოსცა მისი მეტად საინტერესო წიგნი „პატარა სოსო". წიგნი ასახავს სტალინის ბავშვობის პერიოდს დაბადებიდან სკოლაში მიბარებამდე. ნორჩი სოსოს ცხოვრებასთან ერთად მწერალს გადმოცემული აქვს მისი დამახასიათებელი გარემოცვა, იმდროინდელი ყოფითი ამბები, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მცირე ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილ მხატვრულ ნაწარმოებში.

წიგნი ყურადღებას იქცევს ძველი კოლორიტული საბავშვო თამაშობა-გართობების აღწერით, თამაშში და ბავშვებთან ურთიერთობაში ნაჩვენებია პატარა სოსოს ხასიათი და ცხოვრება.

წიგნი შესდგება შემდეგი თავებისაგან: მშობლები, დედა, „ზიზის" სასწაულები, სოსო და დარიკო, დედის კალთასთან, ხუხულობა, ცხენობანა, იწილო-ბიწილო, ჩიტი-ჩიტოლია, ბიჭო-გოგია, სოსოს გიშერა, შავი ყვავილი, ზღაპრის გმირი, პატარა ფალავანი, ახალ უბანში, ახალი წელი, ჭონა, სოსოს და კოლას წაკიდება, საზაფხულო გართობანი, ლხინი, აგანგალა-განგალა, წუწაობა, მეფე და მისი ვეზირები, ლუკმა-პურის ამბავი, თოფხანა, სოსოს ამხანაგები გენერლად ირჩევენ, პატარა ამბავი არტილერიის მოედანზე, მახეში გაბმული ჩიტი, მამის სახელოსნოში, გზა დედა-ენისაკენ.

წიგნის რედაქტორია ვ. ეგნატაშვილი, რატომღაც მხატვრად წიგნზე აღნიშნულია ი. გაბაშვილი, სინამდვილეში მას მხოლოდ გარეკანი ეკუთვნის, ტიტულის სურათის ავტორია მხატვარი ვოლგინი, წიგნში მოთავსებული სამი ილუსტრაციისა კი შ. ბერიტაშვილი.

---

# გრიბოედოვის დაბადების 150 წელი

1945 წლის იანვარში სრულდება 150 წელი ა. ს. გრიბოედოვის დაბადებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: შ. რადიანი (თავმჯდომარე), ი. გრიშაშვილი, ი. მოსაშვილი, რ. გვეტაძე, ი. შადური.

სახელგამი გამოსცემს გრიბოედოვის რჩეული ნაწერების ერთტომეულს, სადაც მწერლის ნაწარმოებები წარმოდგენილი იქნება ახალი თარგმნებით. იანვრის შუა რიცხვებში მწერალთა სასახლეში მოეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამო. მწერალთა მუზეუმი მოაწყობს გამოფენას: გრიბოედოვი და საქართველო. ასეთივე ხასიათის საღამოები და გამოფენები მოწყობილი იქნება თბილისის უნივერსიტეტში და საჯარო ბიბლიოთეკაში.

---

# ფილმი კრილოვზე

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ დიდი რუსი იგავთმწერლის — კრილოვის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით დაიწყო ჟურნალ საბჭოთა ხელოვნების გადაღება, რომელიც მთლიანად მიძღვნილია კრილოვისადმი. სცენარის ავტორია ი. იუზოვსკი, რეჟისორი — ს. ბუბრიკი.

სცენარი გვაცნობს კრილოვის ცხოვრების მთავარ ეტაპებს, მის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობას. ვეცნობით აგრეთვე ყველა იმ ჟანრს, რომელშიც კრილოვი მონაწილეობას იღებდა. სცენარის ავტორს ფართოდ აქვს გამოყენებული მწერლის ხელთნაწერები და მისი დროის გამოცემები.

ფილმში კრილოვის დროის რუსეთის სოციალურ ფონთან ერთად გადმოცემულია იმ ისტორიულ პირთა და შემთხვევათა სურათები, რომელნიც საფუძვლად ედებოდნენ კრილოვის იგავ-არაკებს.

---

ლეო ქიაჩელი

# უდიდესი რუსი იგავთმწერალი

იმ კულტურულ ეროვნულ დღესასწაულთა შორის, რომლებიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების თაოსნობით პერიოდულად იმართება ერთ სამშობლოში გაერთიანებულ ძმეთ ხალხთა კულტურულ მიღწევათა აღსანიშნავად, რუსი ხალხის შემოქმედებითი გენიის უთვალსაჩინესი წარმომადგენლის კრილოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის იუბილეს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს იმიტომ, რომ კრილოვი არა მხოლოდ რუსი ხალხის და მოკავშირე ერების უსაყვარლესი და უპოპულარესი მწერალია, მისი სახელი განთქმულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის გარედაც,—კრილოვი ეკუთვნის იმ იშვიათ მწერალთა რიცხვს მსოფლიოში, რომელთაც კულტურული კაცობრიობა გამორჩეულად თავისად სცნობს.

კრილოვის უკვდავ იგავარაკებს კითხულობენ თავიანთ ენებზე არა მხოლოდ ევროპელები, კრილოვი გადათარგმნილია აგრეთვე აზიის ყველა ცნობილ ენაზე—ჩინურსა, იაპონურსა, სპარსულსა, თურქულსა, არაბულსა და სხვებზე.

დიდი რუსი იგავთმწერლის ესოდენი პოპულარობა და სახელგანთქმულობა როგორც სამშობლოში, ისე მის გარედაც, დამყარებულია მისი შემოქმედების უდიდეს პოეტურ ღირსებებზე:—შინაარსის მხრით მისი პოეზია გამომხატველია იმ უნივერსალური სიბრძნისა, რომელიც კაცობრიობას მოუპოვებია თავისი ხანგრძლივი არსებობის ყოველდღიურ გამოცდილებათა, დაკვირვებათა და გონების ცდათა შეჯამების შედეგად, ხოლო საიგავარაკო ფორმის მხრით იგი აყვანილია სიტყვის უმაღლეს ოსტატობამდე.

მხატვრული შემოქმედების სწორედ ეს იშვიათი და უდავო ღირსებანი ანიჭებენ კრილოვს პირველ ადგილთაგანს იმ სახელმოხვეჭილ, მცირერიცხოვან იგავთმწერალთა შორის, რომელთაც მსოფლიო ლიტერატურა უძველესი დროიდან იცნობს.

რუსის ხალხს არაერთი დიდი ლიტერატურული სახელი მიუცია კაცობრიობისათვის; არაერთს რუს მწერალს თავისი ბრწყინვალე შემოქმედების ნიმუშით დაუმშვენებია კაცობრიული სულიერი კულტურის საგანძური. ეს მწერლები ამავე დროს უდიდეს ეროვნულ მწერლებადაც გვევლინებიან, რამდენადაც არ შეიძლება არსებობდეს მხატვრული შემოქმედება, აცდენილი ეროვნული აზროვნების ძირებსა და მეტყველების ფორმებს.

ასეთია კრილოვიც.

მისი მხატვრული სიმართლე იმიტომ არის უცდომელი, რომ იგი უშუალოდ ხალხური სიბრძნისაგან გამომდინარეობს. მის პოეტურ ენას იმიტომ აქვს ესოდენად საოცარი ზემოქმედების ძალა, რომ იგი ისეთივე ზუსტია, ხატოვანი, ნათელი და მახვილი, როგორც ხალხური მეტყველება.

ამ გაგებით კრილოვი ჩვენ გვევლინება ნამდვილ პირველ რუს ეროვნულ მწერლად. მისი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ამ მხრით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ის ერთადერთი საყოველთაოდ ცნობილი რუსი იგავთმწერალია, მა- იგავარაკები წარმოადგენენ ნამდვილ სათავეს იმ რეალისტური და ეროვნულ-ხალხური მიმართულების, რომელიც საფუძვლად დაედვა მე-19 საუკ. რუსული მხატვრული სიტყვისა და ხელოვნების კორიფეების შემოქმედებას— პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოისა და სხვათა.

ცნობილია, რომ სწორედ ამ ეროვნულმა ხალხურმა ნიადაგმა მისცა მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურას ის დიდი გაქანება, რომელმაც მას მსოფლიოში ცნობილ მოწინავე ლიტერატურათა შორის თვალსაჩინო ადგილი მოუპოვა.

ასეთია მოკლედ და ზოგადად მოხაზული კრილოვის დამსახურება, როგორც რუსული, ისე მსოფლიო ლიტერატურის წინაშე.

მაგრამ კრილოვის, როგორც ყველა დიდი მწერლის შემოქმედებას, წმინდა ლიტერატურულის გარდა, უაღრესად საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ კრილოვის მხატვრული სიტყვა მთლიანად განკუთვნილია ხალხის ცხოვრების სამსახურისათვის. ამ სიტყვის უპირველესი დანიშნულებაა იმ მაღალ საკაცობრიო ზნეობათა ქადაგება, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ, ხოლო დათრგუნვა ყველა სახის ბოროტებისა, რაც კი ადამიანური ცხოვრების მავნებელია.

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსი ხალხის არა ერთი და ორი თაობა ზიარებია კრილოვის იგავ-არაკების ამ მაღალ ცხოველმყოფელ მორალს, არა ერთისა და ორი თაობის გულში დანერგილა შეურიგებელი სიძულვილი ვერაგობისა, ძალმომრეობისა, მტაცებლობის, უსამართლობის, სიმხდალისა და ფუქსავატობის მიმართ.

და აქედან უეჭველი ხდება ის წილი, რომელიც კრილოვს უდევს ყველა იმ სიკეთეში, რაც კი მისი აღზრდილი თაობების საუკეთესო წარმომადგენლებს მოუმოქმედებიათ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

წილი უდევს კრილოვს მთელი საბჭოთა კავშირის ძმეთ ხალხთა იმ სულიერ-მორალურ ძლიერების მომზადებაშიც, რომელიც ასეთი სისავსით გამოვლინდა დღეს, უმაგალითო და უმძაფრესი სამამულო ომის პერიოდში.

ხოლო იმ სამკვდრო სასიცოცხლო იერიშებში, რომლებიც დღეს ძლევამოსილ წითელ არმიას მიაქვს ვერაგ მტერზე, ფრონტის ცეცხლის პირველ ხაზზე რუსის ხალხის საყვარელი „პაპის" კრილოვის სახელიც იბრძვის, როგორც აუცილებელი შემადგენელი ელემენტი რუსული კეთილშობილური პატრიოტიზმისა, რომელიც ყველა საჭურველზე უფრო ბასრია და უტყუარი.

ამ გაგებით კრილოვის სახელიც მონაწილეა იმ დიდი სტალინური გამარჯვებისა, რომელიც ნათელ დღეებისაკენ გზას უკაფავს საბჭოთა კავშირთან ერთად მთელს კაცობრიობას.

---

# ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო

26 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, მისი გარდაცვალებიდან ოცი წლისთავის შესრულების გამო.

საღამო გახსნა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ო. ეგაძემ, რომელმაც აღნიშნა ვანო სარაჯიშვილის დიდი ამაგი ქართული ეროვნული ოპერის წინაშე. შემდეგ მოგონებებით ვანო სარაჯიშვილზე გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები — ნატო ვაჩნაძე, ს. ინაშვილი, დამსახურებული არტისტი ნ. ელიოზიშვილი, ვ. სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

პროგრამის საკონცერტო ნაწილი შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან, პირველში წარმოდგენილი იქნა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის" მესამე მოქმედება. მონაწილეობდნენ სახალხო არტისტები ე. სოხაძე, დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, მსახიობები ი. ფალიაშვილი, ე. ჩიჯავაძე, შ. მამაცაშვილი.

საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა კონცერტმა. პროგრამაში იყო, როგორც სიმღერა, ისე ცეკვა და ნაწყვეტები დრამატიული სპექტაკლებიდან. მშვენივრად მღეროდნენ ს. ინაშვილი, პ. ამირანაშვილი, ბ. კრაველიშვილი, გ. გეგუჩაძე, ლ. გერმესაშვილი, მ. კუსევიცკი. იშვიათი მოხდენილობით იცეკვეს ლეკური რამიშვილმა და დამსახურებულმა არტისტმა ი. სუხიშვილმა. მაღალი ოსტატობით გაითამაშეს ნაწყვეტი „ჰამლეტიდან" სახალხო არტისტებმა ა. ვასაძემ და გ. დავითაშვილმა, ხოლო „დაწყევლის სცენა" „ურიელ აკოსტადან"—სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ და დამსახურებულმა არტისტებმა პ. კობახიძემ და ვ. გოძიაშვილმა.

მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მაყურებელმა სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა, ბალეტის მსახიობებთან ერთად, ხორუმი ა. ბალანჩივაძის „მთების გულიდან".

საღამოს პროგრამა დიდი გემოვნებით იყო შედგენილი. ცალკე ნომრები დაკავშირებული იყო ერთმანეთთან სპეციალურად დაწერილი ტექსტით, რომელსაც სსრკ სახალხო არტისტი ა. ხორავა კითხულობდა. გზადაგზა მაყურებლები ისმენდნენ, რადიო-კვანძის საშუალებით, ვანო სარაჯიშვილის სიმღერებს, ჩაწერილს გრამაფონის ფირფიტებზე.

საღამო-კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. დღისით საოპერო თეატრის კოლექტივმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო ვ. სარაჯიშვილის საფლავი საოპერო თეატრის ბაღში.

აკად. დ. უზნაძე

# ი. გრიშაშვილის პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი

გრიშაშვილის პოეზია არა ერთგზის ყოფილა დაკვირვებით გაანალიზებული. არა ერთგზის ყოფილა აღნიშნული ის მძლავრი ესთეტიკური შთაბეჭდილება, რომელსაც იგი ახდენს ჩვენზე. მაგრამ გრიშაშვილის პოეზია დღესაც საიდუმლოებას წარმოადგენს ჩვენთვის. რასაკვირველია, ჩვენი პოეტი სიტყვის დიდი ოსტატია, მისი რითმა ზღვარულად ბუნებრივი, ორიგინალური და მრავალფეროვანია, მისი ხატები მკვეთრი და წარმტაცია, მისი განცდები უშუალობით აღბეჭდილი და ინტიმურია, ხშირად ორიგინალური და გონებამახვილი, მაგრამ ყოველთვის ბუნებრივი და ნამდვილია...

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ესთეტიკური განცდის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორებია და ხშირად ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების სპეციფიკუმის საწვდომად მათი გათვალისწინების მეტი ბევრი არაფერია საჭირო. მაგრამ უდავოა, რომ გრიშაშვილის პოეზიის სრულს ესთეტიკურ ღირებულებას მარტო ამ ფაქტორების ზედმოქმედება ვერ ამოსწურავს; როგორც ჩანს, დომინანტური როლი აქ ამათ როდი ეკუთვნის, არამედ რაღაც სხვა ფაქტორებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე თვით ზემოდ აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების თავისებურებაც გაუგებარი დარჩებოდა.

რომელია ეს ფაქტორები?

შესაძლებელია მათი რიცხვი არც ისე დიდი იყოს, რომ მათი გაცნობა ამ პატარა წერილში არ მოხერხდეს. მაგრამ ჩვენ აქ მაინც მხოლოდ ერთზე გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ, ერთ ფაქტორზე, რომელსაც გრიშაშვილის პოეტურ შემოქმედებაში უთუოდ წამყვანი როლი ეკუთვნის და რომლის გაცნობიერების გარეშე ჩვენი მგოსნის პოეტური ვინაობა სამუდამოდ ბურუსით დარჩებოდა მოცული.

ჩვენი საკითხის გადასაწყვეტად უაღრესად სიმპტომატური მნიშვნელობა აქვს ერთს დაკვირვებას გრიშაშვილის პოეტური გავლენის ისტორიიდან. გრიშაშვილი ჩვენს მწერლობას, შეიძლება ითქვას, თითქოს როგორც მოულოდნელი აღმოჩენა, ისე მოევლინა. სამწერლო ასპარეზზე იგი ამ ორმოცი წლის წინათ გამოვიდა და მისს ლექსებს იმთავითვე უდაოდ ჩვენი მწერლობის არა ერთი და ორი მესვეური იცნობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი არავინ ფიქრობდა, რომ გრიშაშვილის ლექსების სახით ქართულ პოეზიაში ეგოდენ ორიგინალური და ეგოდენ მაღალი პოეტური მადლით აღბეჭდილი შემოქმედების ნაკადი შემოიჭრა. შეცდომა არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ეს მხოლოდ ერთ მშვენიერ დღის იქნა აღმოჩენილი, სახელდობრ, ერთს სალიტერატურო საღამოზე, სადაც ჩვენმა პოეტმა თავისი ლექსი სცენიდან ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოსთქვა: გრიშაშვილმა ერთბაშად მოხიბლა დარბაზი, მოხიბლა ყველა, ვისაც კი ნამდვილი უტყუარი პოეზიით ტკბობის უნარი შესწევდა და რაიმე მოსაზრებით ამის დაფარვა საჭიროდ არ მიაჩნდა. მასში ერთბაშად ერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტთაგანი დაინახეს, და ამიერიდან იგი დიდხნის განმავლობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

ბუნებრივად იბადება საკითხი: რა მოხდა ამ საღამოზე ისეთი, რომ ეგოდენ კატეგორიულად შესცვალა ჩვენი ინტელიგენციის დამოკიდებულება ამ ახალგაზრდა მწერლისადმი?

თანამედროვე ესთეტიკასა და შემოქმედების ფსიქოლოგიაში ჩაუხედავი ყოველი გონიერი ადამიანი პირველ რიგში ალბად ასე იტყოდა: საკვირველი აქ არაფერი არ მომხდარა... მოხდა მხოლოდ ის, რომ ახალგაზრდა პოეტმა ან მართლა არაჩვეულებრივ ნიჭიერად დაწერილი ლექსი წაიკითხა, — დიდად განსხვავებული ყველაფრის იმისაგან, რაც აქამდე ჰქონდა მას, — და ამიტომ იყო, რომ იგი ნიჭიერ პოეტად დასახეს; ან და დეკლამატორის იშვიათი უნარი გამოამჟღავნა და ნამდვილად ამით მიიქცია საზოგადოების ეგოდენ დიდი ყურადღება და არა თავისი ლექსის პოეტური ღირსებებით.

მაგრამ უდავოა, რომ არც-ერთი ეს მოსაზრება სწორი არაა. პირველი იმიტომ არა, რომ გრიშაშვილს ამ საღამოზე არაფერი განსაკუთრებული, მისთვის უჩვეულო არ წაუკითხავს. ხოლო მეორე მიტომ არაა სწორი, რომ გრიშაშვილს, როგორც დეკლამატორს, მხოლოდ საკუთარი ლექსების კითხვის შემთხვევებში ჰქონდა და აქვს ეგოდენ დიდი წარმატება. უდაოა, რომ ამ ლიტერატურულ საღამოზე გრიშაშვილი არა როგორც ნიჭიერი დეკლამატორი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც ნიჭიერი პოეტი იქნა შეფასებული. მაშასადამე, ჩვენი საკითხი ისევ საკითხად რჩება: რა მოხდა აქ ისეთი, რომ გრიშაშვილის პოეტური ნიჭი ყველასათვის ეგოდენ თვალსაჩინო გახდა.

ეჭვი არაა, მოხდა მხოლოდ ერთი, სახელდობრ, ის, რომ გრიშაშვილმა თავისი საკუთარი ლექსი თვითონ წაიკითხა საჯაროდ, და ამას ის მოჰყვა, რომ ერთბაშად ყველამ დაინახა, თუ რაოდენ ნათელი პოეზიით აღსავსე, რაოდენ წარმტაცი და მომხიბვლელი ყოფილა იგი.

როგორც ჩანს, ლექსის აჟღერებაში, მის მოსასმენად მიწოდებაში რაღაც ფაქტორი ყოფილა ჩართული, რისი მოქმედების გარეშეც ლექსი სრული ესთეტიკური შთაბეჭდილების გამოწვევას ვერ ახერხებს. როგორც ჩანს, ლექსი ზოგიერთს არსებითი მნიშვნელობის მქონე ესთეტიკურ მომენტს შეიცავს, რომელსაც მხედველობა, როგორც ასეთი, ვერ იჭერს, და რომელიც ამიტომ თვალით ჩუმად კითხვის შემთხვევაში ყოველთვის დაჩრდილული რჩება: იგი მხოლოდ ყურისთვის არის მისაწვდომი და, მაშასადამე, მის გამოსავლენად ლექსის აჟღერება, ლექსის ხმამაღალი წაკითხვა ხდება აუცილებელი.

გრიშაშვილის პოეზიის მხატვრული გავლენის ისტორიაში ამ გარემოებამ განსაკუთრებით მკაფიო გამოხმაურება ჰპოვა: ამ პოეზიის შედარებით სრული ესთეტიკური ღირებულება პირველად მაშინ შეიქნა ნათელი, როდესაც იგი შესატყვისად აჟღერდა, როდესაც ავტორმა თავისი ლექსის ის ესთეტიკური მხარეებიც ამოქმედა მსმენელზე, რომლის განცდაც მხოლოდ სმენის გზით იყო შესაძლებელი.

ცხადია, ჩვენ აქ პოეტური ნაწარმოების მუსიკალურ კომპონენტთან გვაქვს საქმე, მისი რითმისა და მელოდიის თვისებებთან, მოკლედ, იმასთან, რაც ზივერსის ე. წ. „ჟღერის ანალიზის" Schallanalyse ბრწყინვალე გამოკვლევათა შემდეგ უდავოდ პოეზიის ესთეტიკური შემოქმედების უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება.

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ლექსის მუსიკალური კომპონენტი, მისი ჟღერის თავისებურება მისი ბგერითი მხატვრული ფორმა თვითონ პოეტს არსებითად არ ეხება, რომ ეს პირველ რიგში მის წამკითხველზე, მის დეკლამატორზეა დამოკიდებული და, მაშასადამე, არავითარ შემთხვევაში თვითონ ლექსის იმანენტურ თავისებურებად არ ჩაითვლება. მაგრამ „ჟღერის ანალიზის" ფუძემდებლისა და მისი მიმდევრების გამოკვლევები არავითარ ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ ეს ასე არაა, რომ პირიქით, ყოველ ნამდვილ პოეტურ ნაწარმოებს თვითონ აქვს თავისი ბგერითი მხატვრული ფორმა, — ფორმა, რომელიც მასში ავტორმა — და არა დეკლამატორმა — ჩააქსოვა, და რომ მისი შესატყვისი აჟღერება მხოლოდ ამ ფორმით შეიძლება. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ყოველგვარი ცდა სხვაგვარად მისი აჟღერებისა, ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების წვდომას თვალსაჩინოდ აფერხებს.

ზივერსის თქმით, „ყოველი პოეტური კონცეპციისა და გაფორმების აქტი განსაზღვრულს მუსიკალურს, ე. ი. რითმულ-მელოდიურ განწყობილებასთანაა დაკავშირებული, რომელიც თავის მხრივ შექმნილი ნაწარმოების სპეციფიკურ რითმსა და მელოდიაში ჰპოულობს განსახიერებას". შილერი ასე ამოწმებს ამ დებულების სისწორეს: „ლექსის მუსიკალური მხარე გაცილებით უფრო ადრე მესახება, როცა მის დასაწერად ვჯდები, ვიდრე მისი შინაარსის ნათელი ცნება, რომლის შესახებაც არც კი ვარ ჩემს თავთან საბოლოოდ შეთანხმებული". ამის გამო პოეტი, თავისი შემოქმედების პროცესში, ისეა განწყობილი, რომ იგი უფრო იმ სიტყვებსა და მათი დალაგების იმ წესებს მიმართავს, რომელნიც მისი რითმულ-მელოდიური განწყობილების რეალიზაციას უწყობენ ხელს, ხოლო გაურბის ისეთებს, რომელნიც ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ. ამის შედეგად მხატვრული ნაწარმოები ისე იგება, რომ საკმარისია შესატყვისად ავაჟღეროთ იგი, რათა თქვენს წინაშე მისმა მუსიკალურმა, მისმა მელოდიურ-რითმულმა თავისებურებამ იჩინოს თავი.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ უდაო დებულებას, რომ ფორმა და შინაარსი არა შემთხვევითს, არამედ არსებითს კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან, რომ ყოველს, ჭეშმარიტად გაფორმებულ შინაარსს მხოლოდ ერთი შესატყვისი ფორმა აქვს, მაშინ გასაგები გახდება, რომ ჭეშმარიტი პოეტური ნაწარმოების შესაფასებლად მისი მუსიკალური ფორმის გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ შეიძლება უდაოდ ჩაითვალოს, რომ პოეტური ნაწარმოების მუსიკალური ფორმის ჩვენების სისწორეზე, მისი დეკლამაციის სიზუსტეზე დიდადაა დამოკიდებული, თუ რამდენად სრულად და რამდენად სწორად შევძლებთ ამ ნაწარმოების გაგებას. მაშასადამე, საკვირველი არაა, რომ გრიშაშვილის საკუთარი ლექსების დეკლამაციამ ეგოდენ დიდი როლი შეასრულა მათი მხატვრული ღირებულების გამოვლენაში.

რასაკვირველია შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს გრიშაშვილის ლექსის ესთეტიკური განცდა, მხოლოდ მას შეეძლოს, ვისაც იგი მისი ავტორის გადმოცემაში მოუსმენია. უდავოა, რომ გრიშაშვილის პოეზიის თაყვანისმცემელთა შორის არა ერთი მოინახება ისეთი, რომ ჩვენი ავტორის მოსმენის შემთხვევა არც ერთხელ არა ჰქონია. მიუხედავად ამისა, ეს არ უშლის მათ ხელს გრიშაშვილის პოეზიის მომხიბვლელობაზე ილაპარაკონ. საქმე ისაა, რომ პოეტური ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებას მარტო ერთი ფაქტორი როდი ჰქმნის — ბგერითი მხატვრული ფორმის ფაქტორი. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, მხატვრული შთაბეჭდილების აღმოცენებაში სხვა ფაქტორებიც ღებულობენ მონაწილეობას, და ამათი მოქმედების გამოსავლენად ნაწარმოების ყურადღებით წაკითხვა საკმარისია. მაშასადამე, გრიშაშვილის პოეზიის ესთეტიკური ღირებულების განცდა განსაზღვრულ ფარგლებში, მისი ჟღერითი მხატვრული ფორმის გათვალისწინების გარეშეც შეიძლება. აქ საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ რა წონა აქვს ამ ფორმას გრიშაშვილის პოეზიაში.

ჟღერის ანალიზის წარმომადგენლნი მართებულად აღნიშნავენ, რომ ყოველს გაფორმებულ სიტყვას საზოგადოდ შეუძლებელია თავისი რითმულ-მელოდიური შინაარსი არა ჰქონდეს. მით უმეტეს უნდა ითქვას ეს პოეზიის შესახებ, რომელიც, როგორც ცნობილია, პირველად მხოლოდ სიმღერის სახით არსებობდა, და ისიც ისეთი სიმღერისა, რომელსაც ცეკვა ანუ სხეულის რითმული მოძრაობები ახლდა თან. სიმღერა ერთ-ერთი სახეობაა მუსიკისა, მაშასადამე რითმი და მელოდია ისევე დამახასიათებელია მისთვის, როგორც სხვა ყოველი მუსიკალური ნაწარმოებისათვის. აქედან გასაგებია, თუ რატომაა, რომ პოეზია, რომელიც თავის განვითარების დასაწყის საფეხურზე მუსიკის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა, შეუძლებელია რითმისა და მელოდიის გარეშე არსებობდეს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მუსიკალურ კომპონენტს ყოველს პოეტურ ნაწარმოებში თანაბრად დიდი როლი ჰქონდეს დაკისრებული: უდავოა, რომ ზოგგან მას წამყვანი როლი ეკუთვნის, ზოგგან კი მის ადგილს სხვა რომელიმე ფაქტორი იკავებს. უეჭველია, პოეტური ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების განსაცდელად მუსიკალურ კომპონენტს მხოლოდ პირველ შემთხვევაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი საგანგებო კვლევის საჭიროება აქ ყოველ ეჭვს გარეშეა.

როგორც დავინახეთ, გრიშაშვილის ლექსის მხატვრული წონის სრულ განსაცდელად არაფერს იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც შესატყვისად შესრულებულ დეკლამაციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პოეტი ხელოვანთა იმ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომელთა შემოქმედებაშიც დომინანტური ესთეტიკური ფაქტორის როლს რითმი და მელოდია ასრულებენ. მაშასადამე, ცხადია, გრიშაშვილის პოეზიის საწვდომად დასახასიათებლად მისი ლექსის მუსიკალური შინაარსის დაწვრილებითი ანალიზი სრულიად აუცილებელსა და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. გრიშაშვილის პოეზიის მომავალ მკვლევარს პირველ რიგში ამ საქმის გაკეთება ევალება. მან უნდა გამოარკვიოს, ჟღერის ანალიზის ერთერთი წარმომადგენლის ფორმულას რომ გავყვეთ როგორ ჟღერს ხმა გრიშაშვილის ლექსს რომ შესატყვისად ჰკითხულობ: მაღალია იგი, თუ უფრო დაბალ რეგისტრებში მიმდინარეობს, ბნელია თუ, ნათელი, მეტი დაძაბულობით გამოითქმის, თუ ნაკლები დაძაბულობით, როგორ რითმულ ერთეულებს მიმართავს პოეტი — მცირესა, თუ უფრო ფართოს, როგორია აქცენტუაცია—აღმავალი ტონი უფრო იხმარება, თუ დაღმავალი, ბიძგითი ტონით თუ გლუვი...

მოკლედ: „ჟღერის ანალიზის" ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა ჟღერის ანალიზის პრობლემატიკა, ისე, როგორც მეთოდიკაც დამუშავებული. გრიშაშვილის პოეზიის მომავალ მკვლევარს ყველაფრის ამის სერიოზული შესწავლა და გამოყენება დასჭირდება.

„ლიტ. და ხელოვ." მე-2 გვ.



5 ფრონტელის დედა ქ. გოგლიჩიძე.
ქანდაკება ვ. მიზანდარისა.

დიმიტრი ჭეიშვილი

# ლიტერატურული ბათუმი

ქართველმა საბჭოთა მწერლებმა სამამულო ომის მრისხანე დღეებში განსაკუთრებით მძაფრათ დასჭიმეს თავისი შემოქმედებითი ძალები. ამ დღეებში საბჭოთა მწერლობა იქცა მებრძოლი ხალხის ერთ-ერთ ბასრ იარაღად, კალამი ნამდვილად გაუთანაბრდა ხიშტს. ჩვენმა მწერლებმა მხატვრულ სიტყვაში გამოჰკვეთეს წარმტაცი სახეები საბჭოთა გმირებისა, რომელნიც თავდადებულად იცავენ სოციალისტური სამშობლოს ყოველ მტკაველ მიწას. თანამედროვე მწერლობამ უკვდავჰყო არა ერთი სახე მამაცი საბჭოთა პატრიოტებისა, რომელნიც პირველ მოწოდებისთანავე აღსდგნენ სამშობლოს თავისუფლების, მთელი კაცობრიობის მომავლის გადასარჩენად.

აჭარელი მწერლები, ისევე როგორც მთელი ქართული მწერლობა, სამამულო ომის პერიოდში გატაცებით მუშაობდნენ ზემოხსენებულ თემების მხატვრული ასახვისათვის. აჭარის სახელგამმა გამოსცა რამდენიმე კრებული, რომლებშიაც წარმოდგენილია ბათუმელი მწერლების ლექსები, პოემები და მოთხრობები. გასულ წელს გამოვიდა კ. რუსიძის ლექსების კრებული — „მამული გვეძახის". ამ წიგნიდან მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსები: „მტერს დავაფრქვევთ ცეცხლის წვიმას", „ყველაფერი ფრონტისათვის", „ლაშქრული", „იარაღს ხელნი ჰაბუკნო", „ქართველ მეომარს", „თავგანწირვა", პოემა „პარტიზანული სიყვარული" და სხვ. ერთ ლექსში პოეტი სწერს:

„ჩვენ წინ მივდივართ,
გზას გვინათებს
ალისფერადი
კრემლის შუქურა
მზეებრ მნათი,
მიზანმართალი,
— წინ! — მოგვიწოდებს
მშობლიური
ბრძენი ბელადი
ხალხთა მამა და
უმაღლესი
მთავარსარდალი".

რუსიძის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეს პოლიტიკური სიმძაფრე. მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში მას განსაკუთრებული შემოქმედებითი ნაყოფიერება ახასიათებდა. თავის ლექსებში და პოემებში პოეტი ხატავდა ბრძოლის ცალკე ეპიზოდებს, სამშობლოსათვის თავდადების მაგალითებს, თავისი შემოქმედებით ის აღრმავებდა მკითხველის არსებაში სიყვარულს დედა-სამშობლოსადმი. არაფერია უფრო მაღალი, ვიდრე სამშობლოსთვის თავის განწირვა, აქ არის უკვდავება, — ამ აზრს გადმოგვცემს პოეტი თავის ლექსში „ქართველ მეომარს".

ნაყოფიერად მუშაობდა სამამულო ომის დღეებში პოეტი შალვა შუბლაძე. მისი ლექსებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ზარს შემოჰკარ ქართლის მიწავ", რომელშიაც პოეტმა გადმოგვცა კავკასიის ხალხთა მონოლიტური ერთიანობა, ხალხთა ურყევი მეგობრობა. კავკასიის დაცვის დღეებში პოეტი სწერდა:

„ხედავთ ნისლი მთებზე მიწვა,
ხევს დაედო სისხლის ფერი;
— ზარს შემოჰკარ ქართლის მიწავ,
კვლავ შეჰყარე შენი ერი".

პოეტის სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია „სამშობლოსათვის", „წინ გმირო", „ორი ძმა", „წინაპრებს", „წერილი ფრონტზე", „მამის ანდერძი", „სურათი" და სხვა.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აჭარელი პოეტების ის ნაწარმოებნი, რომელნიც მიძღვნილი არიან სამამულო ომის თემებისადმი — ძლიერ ხშირად თავისუფალნი არ არიან ნაკლოვანებათაგან, ხშირად ლექსებს აკლია ემოციური სიმძაფრე, ეტყობა სიმშრალე, დაუხვეწელობა. ეს განსაკუთრებით ითქმის შ. შუბლაძის ლექსების შესახებ. ის მაგ. იყენებს რითმას: „მოჟონავდნენ" — „სახრჩობელაზე", ლექსში „წერილი ფრონტზე" ის ხმარობს გამოთქმას: „გულის გემო". ენის დაუხვეწელობას იქამდე მივყევართ, რომ ხშირად აზრიც ბუნდოვანი ხდება. ხშირ შემთხვევაში აჭარელი პოეტები იმეორებენ ერთიმეორეს, მათ მომავალში დიდი მუშაობა მოუხდებათ ამ ერთფეროვნების დასაძლევად და პოეტური კულტურის დონის ასამაღლებლად.

ნესტორ მალაზონიას ლექსები გამოირჩევიან არა მარტო თავისი მებრძოლი იდეურობით, ულრმესი პატრიოტიზმით, არამედ თავისი მაღალი მხატვრული ხარისხითაც. პოეტის აზრი და ფიქრი მუდამ სამშობლოს თავისუფლებას დასტრიალებს, თავის ლექსებსა და ბალადებში მალაზონია ნათელი საღებავებით გადმოგვცემს გამარჯვების იმ ულრმეს რწმენას, რომელიც ერთი წუთითაც არ სტოვებდა მთელი ომის განმავლობაში საბჭოთა პატრიოტის გულს. ეს რწმენა შთააგონებდა, გმირულ საქმეებისათვის აღაგზნებდა ჩვენი ქვეყნის დამცველებს.

მიმდინარე წელს გამოვიდა მალაზონიას ლექსების წიგნი—„გულის ხმა". აქ წარმოდგენილია როგორც ომამდელი, ისე ომის პერიოდის ლექსები. ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ პოეტის შემოქმედებითი აღმავლობაზე.

თემატიური მრავალფეროვნება ახასიათებს პოეტ ჰ. რურუას შემოქმედებას. პოეტი სწერს როგორც ზურგის თემებზე, ისე ფრონტის ცხოვრების ცალკე ეპიზოდების შესახებ. ეს ლექსები აღსავსეა საბჭოთა პატრიოტიზმის შთამაგონებელი განცდით და პათოსით, მისი ლექსებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ „სამშობლოსათვის", „დარტყმის საპასუხოდ", „მოსკოვის ბჭესთან", „დედის წერილი", „საიერიშო", „განვაგრძოთ შეტევა" და „ფრონტის დობილი". ლექსში „საიერიშო" პოეტმა განსაკუთრებული სიმძაფრით გადმოგვცა სიძულვილი ვერაგი მტრისადმი, ბნელეთის მოციქულებისადმი, რომელთა ურდოები გმირულმა წითელმა არმიამ განდევნა ჩვენი სამშობლოს მიწაწყლიდან. აქვე უნდა მოვიხსენიოთ პოეტები და მწერლები ნ. გვარიშვილი, დ. გოგიტიძე, გ. სალუქვაძე, გ. წულაია, მ. ვარშანიძე და სხვები, რომელნიც სამამულო ომის პერიოდში მთლიანად ჩადგნენ ფრონტის ინტერესების სამსახურში: მრავალმა აჭარელმა მწერალმა სამამულო ომში მონაწილეობა მიიღო არა მარტო თავის შემოქმედებით, არამედ პრაქტიკული მუშაობითა და ბრძოლით [illegible]ზე.

მხატვრული პროზის დარგში განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობს მწერალი პარმენ ლორია. ჯერ ისევ ომამდე ლორიას ნაწარმოებები ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ არა მარტო აჭარაში, არამედ საერთოდ მთელ ქართველ მკითხველთა წრეებში. ამ პოპულარობას მწერალმა თავისი თხრობის ცოცხალი კილოთი, სიუჟეტის ოსტატური აგებით მიაღწია. ეს დადებითი თვისებები შეინარჩუნა ლორიამ იმ ნაწარმოებებში, რომლებიც სამამულო ომის მებრძოლთა ცხოვრებას გადმოგვცემენ. პირველ რიგში ჩვენ აქ უნდა დავასახელოთ ლორიას მოთხრობების კრებული „ფრონტზე და ზურგში", რომელიც შარშან გამოსცა აჭარის სახელგამმა. წიგნში ყურადღებას იქცევს მოთხრობა „ქარიშხალი", რომელშიაც მწერალი ცდილობს დაგვიხატოს ის მხეცური სისასტიკე, ის ბარბაროსობა, რომელსაც სჩადიოდნენ ჰიტლერელი არამზადები მათ მიერ დროებით დაპყრობილ მიწა-წყალზე. მწერალმა დახატა შემაძრწუნებელი სურათები ამ ველურობისა და ამით კიდევ უფრო გააძლიერა თავის მკითხველში სიძულვილი გერმანელი ფაშისტების მიმართ. მწერალმა მხატვრული საღებავებით გადმოგვცა, რომ ფაშისტური „ახალი წესრიგი" სინამდვილეში ნიშნავს წამებას, უდანაშაულო ადამიანთა მასობრივ გაჟლეტას, ხალხთა განადგურებას. მწერლის ეს ნაწარმოებები კიდევ უფრო აძლიერებენ შურისძიების მძაფრ გრძნობას.

ხსენებულ წიგნში მოთავსებულია უაღრესად საინტერესო ფსიქოლოგიური ნოველა „წერილი ფრონტიდან. ინტერესით იკითხება მისივე „ფურცლები დღიურიდან", სადაც მოთხრობილია უმთავრესად ზურგის ამბებზე.

პ. ლორიას უკანასკნელ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „შეხვედრა" და „სამაგიერო".

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლორია ხანდისხან გადაჭარბებით მიმართავს მოულოდნელ შეხვედრების ხერხს, რათა სიუჟეტი უფრო დამაინტერესებელი გახადოს, ამით ხანდისხან თითქოს მოვლენათა ბუნებრივი ვითარება ირღვევა. ამ გარემოებას მწერალმა მომავალში ყურადღება უნდა მიაქციოს.

უკანასკნელ ხანებში გამოვიდა კ. რუსიძის „იწერებოდა სისხლით", მასში გადმოცემულია ახალგაზრდა ქართველი საბჭოთა პატრიოტის გმირული ბრძოლა სამამულო ომის ფრონტზე.

საბჭოთა აჭარის მწერლები სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებულ ნაყოფიერებით მუშაობდნენ. მაგრამ ცხადია, ის, რაც მათ დღემდე გააკეთეს კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა აჭარელ მწერალთა შემოქმედებაში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მხატვრული დონის ამაღლებას და ენის სიწმინდეს.

ნატო ვაჩნაძე

# ვანო სარაჯიშვილი ეკრანზე

1923 წლის ზაფხულში ჩვენი კინომრეწველობა შეუდგა ალექსანდრე ყაზბეგის რომანის „მამის მკვლელის" მიხედვით სურათის გადაღებას. ფილმში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო ვანო სარაჯიშვილი. ის ასრულებდა იაგოს როლს, მე ვთამაშობდი ნუნუს.

ვისაც ვანო სარაჯიშვილი უნახავს სცენაზე, მისთვის დიდი სიამოვნებაა ცოცხალი და მოძრავი იხილოს ის ეკრანზე. ამ სურათს თუნდაც იმიტომ აქვს ღირებულება, რომ მისი წყალობით საშუალება გვეძლევა მეხსიერებაში აღვადგინოთ ამ შესანიშნავი არტისტის მაღალი ოსტატობა და შთაგონებული სახე.

ვანო სარაჯიშვილმა კინოში მოიტანა არა მარტო თავისი გამოცდილება, არამედ საუკეთესო სცენიური ტრადიციები და ის თავისებურება, რომელიც ამ დიდ ხელოვანს ახასიათებდა.

მე მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, სულ 18 წლის გოგონა. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა სიხარული იყო ჩემთვის ვანო სარაჯიშვილის პარტნიორობა. მე ვთამაშობდი იმ ადამიანთან, ვინც ქართველი ხალხის სიყვარული იყო, ხოლო ჩემი ხნის ახალგაზრდებისათვის ნამდვილი კერპი.

სარაჯიშვილი მაშინ 25 წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ ნახეთ ის ეკრანზე და დარწმუნდებით, რომ სხვა ნიჭთან ერთად ბუნებამ ის საოცრად დაზოგა და შეუნარჩუნა ახალგაზრდული შეხედულება, დიდი ტემპერამენტი და მომხიბვლელობა.

მთელ ექსპედიციაში ყველაზე უფრო აღტაცებული, ცოცხალი, დაუღალავი, მხიარული და ამასთანავე საოცრად უბრალო და გულისხმიერი— ვანო სარაჯიშვილი იყო.

სარაჯიშვილი თავიდანვე დიდი სერიოზულობით მოეკიდა საქმეს. მისთვის სრულიად უცხო იყო კინო-აპარატის წინაშე მუშაობა. აპარატი ერთგვარ ჩარჩოში აყენებს მსახიობს. პირველად ეუცხოვა ეს სცენაზე თავისუფალ მოძრაობას მიჩვეულ არტისტს.

აპარატის წინ სდგას ვანო სარაჯიშვილი-იაგო, უკან კი აპარატია, ოპერატორი, რეჟისორი, მისი თანაშემწე, ასისტენტები, მსახიობები და საჭირო ტექნიკური პერსონალი. იწყება გადაღება სცენისა, სადაც იაგომ სიყვარული უნდა გამოუცხადოს ნუნუს. აი საცაა უნდა ამუშავდეს აპარატი, როცა უეცრად სარაჯიშვილმა უკმაყოფილოდ გადახედა აპარატს, მის გარშემო მდგარ ხალხს და საყვედურით მითხრა:

— რას გავს ეს ამბავი? როგორ გაგიმჟღავნო ჩემი სიყვარული, როცა ამდენი ხალხი და შენი ქმარიც კი ეგერ დამდგარან, შემომცქერიან და ერევიან ჩემს საქმეში? არ შეიძლება განა ეს სცენა გადავიღოთ მოწმეთა გარეშე?

მუშაობდა ის ყოველთვის შთაგონებულად და დიდი ტემპერამენტით. ხშირად თითონვე იყო თავისი თავით კმაყოფილი და როგორც ჭაბუკი — გულუბრყვილოდ და სიხარულით იტყოდა:

— დიდებულად კი ჩავატარე ეს სცენა! ახ, რა კარგად ვითამაშე! ყოჩაღ ვანო სარაჯიშვილო!

რამდენიმე ტრიუკი ამ ფილმში ისეა გაკეთებული, რომ მასში მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობდა სარაჯიშვილი, მაგრამ ის იმდენად გატაცებული იყო თავისი მუშაობით, რომ როცა ბოლოს ეკრანზე ნახა მთელი სურათი, დარწმუნებული იყო, — ყველაფერი მის მიერ იყო გაკეთებული.

ერთობ შესაქცევი იყო შემდეგი შემთხვევა: მოქმედების მიხედვით მე ტყეში დავეხეტები და აი საცაა დათვი თავს უნდა დამესხას. ტყეში მართლაც იყო დათვი, მაგრამ ის უკანა ფეხით დაბმული იყო და გაბრაზებული ღრინავდა. იმ წუთში, როცა ის თითქო უნდა მეცეს, გამოჩნდება იაგო-სარაჯიშვილი, მივარდება დათვს, ჩასცემს ხანჯალს და მოკლავს. ეს კადრი გადაიღო აპარატმა შემდეგნაირად: სარაჯიშვილი-იაგო გადაიღეს ცალკე, გახელებული დათვიც ცალკე. სარაჯიშვილმა-იაგომ მხოლოდ ხანჯალი ამოიღო და რაღაცას ჩასცა. ეკრანზე კი ისე გამოვიდა, თითქო იაგო ეცა დათვს და მართლაც ჩასცა ხანჯალი.

როცა ეს კადრი ნახა ვანო სარაჯიშვილმა, ის იმდენად გაკვირვებული იყო მისი რეალობით, რომ დარწმუნებული შეიქნა, თითქო მართლაც მან მოკლა დათვი. უყურებდა კადრს და ამბობდა:

— ძალიან მარჯვედ კი ვიყავი! ა? ხომ ხედავთ, რა საშინელი მხეცია? მაინც არ შევუშინდი და ჩავეც ხანჯალი! ხუმრობა ხომ არაა მისი მოკვლა!

სამწუხაროა, რომ მის დროს ხმოვანი კინო არ არსებობდა. ძველმა ეკრანმა აღბეჭდა ვანო სარაჯიშვილის სახე, თამაში, მაგრამ მთელი მისი სიდიადე ხომ სიმღერაში იყო!

ვისაც სარაჯიშვილი მოუსმენია, მისი ხმისა და სიმღერის ძალა განუცდია, მისთვის ის დაუვიწყარია.

მრავალს მოუსმენია ვანო სარაჯიშვილი, მაგრამ ბევრს არ ჰქონია ბედნიერება მოესმინა იმ წუთებში როცა თითონ მას ემღერებოდა, იმ წუთებში, როცა მას არ შეეძლო არ ემღერა, როცა ის თავის ღმერთთან ურთიერთობაში იყო.

მე ერთხელ მქონდა შემთხვევა ასეთ წუთში მომესმინა მისთვის. ეს მოხდა სიღნაღში. გაზაფხული იყო, აივანზე ვისხედით ძველი ციხე-გალავნის ახლო. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. ქვევით ალაზნის ველი გადაშლილიყო. დღით მე დავინახე, თუ როგორ ჰყვაოდენ იქ, ქვევით, ალუბლის და ვაშლის ხეები და ახლაც, ამ ნათელ ღამეში, მეჩვენებოდა, თითქო ვხედავდი მათ და ვყნოსავდი დამათრობელ სურნელს. მთვარით განათებული კავკასიონის თოვლიანი ქედი თეთრად ბრწყინავდა. სიჩუმეში ვიდექით და გავცქეროდით ყველანი ამ მომხიბლავ ჩვენებას. და აი, თითქოს მოულოდნელად კი არა, არამედ თითქო ჩვენი გულიდან ამოსულიყო, მოისმა ჯერ ჩუმი ჰანგი, ისეთივე ჩუმი, როგორადაც ლოცვა იწყება.

ეს ვანო სარაჯიშვილი მღეროდა მშობლიურ ურმულს. ჩუმად დაიწყო, შემდეგ მისი ხმა თანდათან გაძლიერდა, გადაეფინა გაყუჩებულ ალაზნის ველს და შორეულ მთებს გადასწვდა. მისი ხმა, მისი არსება შეერთებული იყო ამ წუთში იმ მომხიბლავ ჩვენებასთან, რომელიც შორ მანძილზე გადაშლილიყო. მომღერალი თითქო უბრუნებდა გარემოს იმ ჰანგსა და ხმას, რომელიც მისგანვე მიიღო. ეს ხმები, — დაბადებული ამ ველზე, მის მწვანეში, ალაზნის ტალღებში, გლეხის ურმის ღუღუნში, — იქნებ ყველა ამათ ესმოდათ ისევე, როგორც ჩვენ, ადამიანებს.

ის მღეროდა დიდხანს და ყველა და ყველაფერი მას უსმენდა. მის ხმაში მისი მშობელი ხალხის ხმა ისმოდა. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ეს ღამე.

სრული ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი. ის თითქოს მითიურ ორფეოსად იქცა ჩვენთვის და მისი სიმღერის ძალა უკვდავ ლეგენდასავით დარჩა ხალხში.

გიორგი შატბერაშვილი

# ლექსები

## მარცხენა ხელით ნაწერი

ვუძღვნი სამამულო ომში მარჯვენა-დაკარგულთ

სად არის ჩვენი ფუტკარი, ნეტავ მოგნახა თუ არა?
ვაჰ, თუ დაეცა... შორეულ ველებს ვერ გადმოუარა!
ვაჰ თუ ყინვებმა დააზრო, ან ქარიშხალმა დასუსხა, —
მაშ რატომ არ გატყობინებს ვაჟკაცის გულის პასუხსა!
ჩვენი ფრთამალი შიკრიკი, დაუწერელი ბარათის
ბალჩიდან ბალჩას წამღები ზილით და უზუნდარათი.
ვახსენოთ მისი ამაგი, დაუზარელი რუდუნი, —
წამღები ყურში სათქმელი ამოოხვრის და დუდუნის...
სად არის? იქნებ გალვიძებს ფრთების შეხებით ბალჩაში,
ბურანში ხომ არ მოგესმის ჩემი ნაგანის ჭახჭახი?
ვაჰმე, რომ არა!.. მაგრამ შენ, გული ნუ შეგიშინდება,
ჩემი მარჯვენის ხსენებით ღედაც ნუ აქვითინდება;—
გახსენით ჩემი ბარათი გულიდან ამონაჭერი,
მარჯვენის ამბავს გიამბობთ მარცხენა ხელით ნაწერი...
. . . . . . . . . . . .
მაგრამ, სად არის ის ჩვენი დაუზარელი ფუტკარი,
ვიცი, მოგძებნით, მას ჰკითხეთ, თქვენი სათქმელიც უთხარით;
ის გეტყვით, გამოვატანე ვაჟკაცის გულის ნაღველი —
ქვეყნად, საჯაროდ სათქმელი, მარადის დაუზრახველი:
— მოჭრილ მარჯვენას მტრისათვის სიკვდილი დაუხატია,
სამშობლოს წმინდა ტაძარში კელაპტარივით ანთია.

## თითქმის... მუხამბაზი

გაზაფხულდა... გულს ისევ აუშენდა
სიყვარული, იმედები, დარდები.
ბაღში ვწევარ ათეთრებულ ნუშებთან,
საკინძგახსნილს მკერდს მაყრია ვარდები...
ნუშებს იქით ფანჯარაში მტრედია,
ვამბობ: აჰა ბურთი და მოედანი!
დღეს საგულეს გული არ დაეტია,
და ვღუღუნებ ჩემთვის ბერი ქედანი...
არ მომხედავს, ის ვინ არის, მე ვინა?
მზეს შესცქერის, ტკბილად მღერის მზევინარს,
არა შენმა სიყვარულმა ლამაზო —
გაზაფხულმა ეს ლექსი მათქმევინა!
უცნობი ხარ, უცნობადვე დარჩები,
პოეტი ვარ, აშუღი თუ მეთარე,
შენ რა გინდა, მხოლოდ ატმის ფარჩებით,
ნუშის კაბით, მოდი, გამომედარე.
ვერ მიხვდები...
როს მოვიდა აპრილი,
სიყვარული მე ისეთი მომინდა:
ჭაბუკური, ნაზი და თავდახრილი,
ამოსული ვაშლის ყვავილობიდან.
შენ კი რაო?
როცა აქეთ ჩაივლი,
არც მომხედავ ხისქვეშ მწოლიარესა,
მე რად მინდა შენი კარგი სიცილი,
გულით მიცქერ, გულმა ძომიალერსა...
აბა შეხე, რა ღრუბელი მოსცურავს,
მე კი ვდგევარ შენი ფანჯრის წინაშე,
ამ ნუშებთან ეს რამდენჯერ მოვსულვარ,
ხან ჟუჟუნა, ხან შხაპუნა წვიმაში.
დე, იწვიმოს, მეც ავსილი ოცნებით —
გულისცემით ჩამოვიგლეჯ საყელოს,
მე ვინა ვარ, ალბად ნაღდი მგოსნებიც
გწერენ ლექსებს, ლამაზს და უსახელოს!
ჩქარა, თორემ, ჩემი გულის ხმაურზე,
მარტიც მიდის, მოფრენილან მერცხლებიც,
განა რამდენ საუკუნეს გაუძლებს
სიყვარულის ეშხი და ნაპერწკლები.

## კრილოვის დღეები სოხუმში

ლ. ბერიას სახელობის პედინსტიტუტის კლუბში 20 ნოემბერს შესდგა კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც მოსმენილი იქნა მოხსენებები: დოც. ზაპოროჟსკისა „დიდი რუსი პოეტი და იგავთმწერალი ი. ა. კრილოვი", ტ. გულიასი—„კრილოვის სატირული ჟურნალები", დოც. დუბროვინასი—„კრილოვის ენა", ბ. გვასალიასი—„კრილოვი ქართულ ლიტერატურაში".

21 ნოემბერს ქალაქის თეატრის შენობაში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. გიორგი გულიამ; კრილოვის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მწერალი იურიევი. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი: აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა: ჟევზაძემ, ჟდანოვმა, რეიზნერმა, ბოკუჩავამ, შალანინამ და სხვებმა წაიკითხეს კრილოვის რჩეული იგავარაკები, კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე აფხაზურ-მეგრული სიმღერების და ცეკვების ანსამბლმა.

როდიონ ქორქია

# ზ ა რ ნ ი შ ი

1.

კრამიტით დატვირთული საბარგო ავტომობილი სწრაფად მიჰქრის კოლხიდის ხვავიან მინდვრებსა და ბაღებს შორის. თვალს ახარებს ფარშავანგის ბოლოსავით ნაირჭრელი სურათები.

გზა რომ ხვეულზე მიდგა, შოფერმა სვლას უკლო. პაპიროსი ამოიღო და თავის გვერდით მჯდომ ჭაღარას გაუწოდა:

— ინებეთ, ამხანაგო ჯარნა!

ჯარნამ პაპიროსი გააბოლა და კვლავ ეზოებს დაუწყო ცქერა. მას უყვარდა ოდიშის პეიზაჟი, განსაკუთრებით შემოდგომაზე: ყოველი ეზო დეკორაციულად მორთულ სცენას გავდა თავისი ჭიშკრითა, ბაღებითა და თავმომწონე, აივნიანი, ლამაზი ოდებით. შიგა და შიგ თვალი უჩვეულო სურათსაც წააწყდებოდა: დაკლაკნილი თხრილები ერთი მეორეს მისდევდა ეზოებს და მინდვრებში. ეს იყო სანგრები. სოფელი თავდაცვისათვის ემზადებოდა.

ჯარნას აგონდება განვლილთა დროთა სიჭაბუკე და ხალისი. შფოთვა და ღელვა. რამდენჯერ მოუვლია მას ეს გზა და მინდვრები ცხენით და ფეხით, ჭირსა და ლხინში... ერთი სოფლის ბოლოს შოფერს მხარზე ხელი დაადო და მანქანა გააჩერებინა. მძიმედ ჩამოვიდა მანქანიდან და რკინის კარიან ეზოში შევიდა. შოფერი გვერდით მიყვებოდა.

— აი იქ, 1918 წელს, გერმანელებმა დამიჭირეს, მაშინ მე არალეგალურად ვმუშაობდი სენაკის სამაზრო კომიტეტში. ცუდი დღე მომელოდა, მაგრამ ღამით ერთმა მეგობარმა გლეხმა-უჩა მოქიამ მიხსნა.

— უჩა მოქიამ? — შეეკითხა შოფერი. — ახალშენში რომ ცხოვრობს?

— ჰო, ქალის ტანისამოსი მომიტანა და გამაპარა. მეორე დღეს გერმანელებმა სოფელი ააწიოკეს. მოგვეცითო. სოფელმა არ გამცა. ეჭვი მიიტანეს უჩაზე, უჩა გაიქცა, ერთი ხარი ყავდა საწყალს, დაიჭირეს და დაჰკლეს. ჩემი სახლი კი გადასწვეს, შენ ხარ ჩემი ბატონი. აი, ხედავ ამ ეზოს? მამისეულია. არასოდეს არ შემიძლია ჩავუარო ისე, რომ გული არ ამიჩუყდეს. კარგი სახლკარი ჰქონდა მამაჩემს. ახლა, ხედავ, კოლმეურნეობის ბეღელი გაუმართავთ აქ...

ერთმა ხამა სიჩუმეში განვლო, ზენაქარი ხმაურობდა ხეებში და შორს, მინდვრებში შემწიფებულ ყანებს მიწისაკენ დრეკდა.

— ჩავასწრებთ თუ იცი ხვალამდე? — ჰკითხა ჯარნამ შოფერს.

— თუ ზენაქარმა ბორანი არ გაიტაცა, ჩავასწრებთ, — უპასუხა შოფერმა, — მაგრამ ხშირია შემთხვევა, ზენაქარი გაიტაცებს ბორანს და შესწყდება მიმოსვლა.

— აჰ, ეგ არ მითხრა, ტერენტი! — გააწყვეტინა ჯარნამ, — საქორწილოდ უნდა მოვასწრო ოდის გადახურვა, აბა ვიჩქაროთ!

ავტომ დაიხრიალა და გასწია. რაც უფრო დაბლობისაკენ მიდიოდა ავტო, მით უფრო ძლიერი ხდებოდა ზენაქარი. იქ, მაღლა მთები იცავდა მშვიდობას. აქ კი, დაბლობში ზენაქარი ღმუოდა, გლეჯდა არე-მარეს. მანქანა რომ მდინარეს მიადგა, ბორანი აღარ იყო. ქარს გაეტაცნა.

— რა ვქნათ? ვიცადოთ თუ მოვუაროთ? — ჰკითხა შოფერმა.

— შემოუაროთ. ამის გამო ქორწილს ხომ ვერ გადავსდებ? — მტკიცედ უპასუხა ჯარნამ. — სიძეს ვერ შემოვიყვან ხავსმოდებულ სახურავიან ოდაში.

შოფერმა ჩაიცინა. მან იცოდა, თავმოყვარე კაცი იყო ჯარნა. მის სასიძოს, სევასტოპოლის დაცვისათვის განთქმულ ვაჟკაცს, ვებერთელა ოდა ჰქონდა წამოჭიმული, ოდა კრამიტით იყო დახურული და მზეზე ოქროსავით ბზინავდა. ჯარნას კი ყავრით გადახურული ოდა ედგა და ხავსიანი ყავარი მოწყენილად გამოიყურებოდა. ჯარნას, რა ხანია, ოდის გადახურვა უნდოდა, ომმა შეუშალა ხელი. ახლა კი, როცა ნაომარი და დაჭრილი სასიძო მშვიდობით დაბრუნდა, ჯარნამ გადასწყვიტა ოდის გალამაზება. იცოდა ქალიშვილსაც გაახარებდა ამით და სიძესაც აამებდა.

2.

მთელი კვირა თარეშობდა ზენაქარი. როცა გული იჯერა და ჩადგა, სოფელი დარბეულს ჰგავდა. აქ ღობეა მორღვეული, იქ ხეა ამოთხრილი, სად ვენახია დალეწილი, სად სახურავია აგლეჯილი, ქარს ზოგან ნალიაც კი წაუქცევია. მხოლოდ ყანა გადაურჩა ამ ყაჩაღს. მას ვერა დააკლო-რა ზენაქარმა. მართალია, მიაწვინ-მოაწვინა ტაროებიანი სიმინდი, მაგრამ იმედი მაინც ვერ ამოგლიჯა სოფლის გულიდან. მიწაზე გართხმული ყანა მაინც გულყავსედ იყო. ის დაჭრილივით ელოდა მზრუნველ ხელს: ამაყენებენ, მომივლიანო.

მთელი კვირა არ ისმოდა ჩიტების ჟივილ-ხივილი. ჩაიმალნენ ჩიტუნები თავიანთ ბუდეებში და ფუღუროებში. მას შემდეგ, რაც აშარი ზენაქარი შავს ზღვაში ჩაიხრჩო, გაისმა ჩიტუნების ხმა. ისევ აკაკუნდა კოდალა, ისევ აჭიკჭიკდა ნარჩიტა, ისევ აფათურდნენ ღობეებში მზეწვიები.

ნაღვლიანი თვალით გადახედა თავის სახლკარს უჩა მოქიამ. ზენაქარმა მის სახლს ისლის სახურავი ააგლიჯა და მიფანტ-მოფანტა. უჩა ცრემლმორევით უყურებდა, თუ როგორ მიფარფატებდა მისი სახლის სახურავი ჰაერში. შვილები მაინც ჰყავდეს აქ, დაეხმარებოდნენ. ეხ, თავად ცოცხალნი დაბრუნდნენ ფრონტიდან და მთელი სახლიც წამოქცეულა!

მართალია, მოვიდა კომისია, ჩაიწერეს რა დახმარება იყო საჭირო, მაგრამ როდის მოვა ეს დახმარება? ხომ დროა საჭირო? ყავარს ამ სოფელში არ ტკეცავენ; შორიდან უნდა ჩამოიტანონ. სულ ცოტა ორი კვირა მაინც გაივლის. იცის უჩამ, რომ დაეხმარებიან, ვინ მოსთვლის რამდენი მაგალითი უნახავს ამისი, მაგრამ ამ ორ კვირას რა ქნას: კოლხიდაში დილას რომ მზეა, შუადღისას ისეთ წვიმას დაუშვებს, წარღვნა გეგონება. სანამ იდგეს სახლი პირდაღებული შოშიასავით? ვერც საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვს უჩა იმაზე მეტს, რასაც შეპირდნენ. ახლა რთველიც ხომ დაიწყება. ახლა მთავარია მოსავლის აღება. განა უჩამ არ იცის, რომ ზურგიც იგივე ფრონტია, შრომის ფრონტი! ჯერ ფრონტისათვის ზრუნვა და შემდეგ უჩასათვის. ეს კარგად ესმის უჩას. განა მისი შვილებიც ფრონტზე არაა?

თავმჯდომარე მიადგა ჭიშკარს და გასძახა!

— უჩა, ხვალ დილას ადრე გამოიყვანე შენი ბრიგადა სამუშაოზე.

— ჰო, ჰო, გამოვალთ, — წამსვე უპასუხა უჩას მაგიერ ცოლმა.

უჩას მოეწონა ცოლის პასუხი. იცოდა, შვილის სიყვარულმა ათქმევინა ეს. გულში კი ცეცხლი უტრიალებდა ორთავეს. მაგრამ ვაჟკაცობაც ისაა, სიძაბუნე არ აჩვენო სხვას. შენს ჭირს შენვე უნდა მოუარო.

3.

მოსავლელმა გზამ ერთი დღით დააგვიანა ჯარნა.

— დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ მოვასწრო დახურვა. როგორ დომალოლატა ბორანმა — იმეორებდა ჯარნა და მოუთმენლად გასცქეროდა გზას. არასდროს მოსჩვენებია მას ეს გზა ასე გრძელი და გაუთავებელი.

კაბინიდან მოსჩანდა, თუ როგორ შესეოდნენ ყანას ქალები, ბავშვები, მოხუცები. ბზინავდნენ ოქროს მარცვლიანი ტაროები მზეზე. სავსე კალათები დინჯად მიჰქონდათ ურმებზე. სავსე ურმებს ნელა მიათრევდნენ ჩაფიქრებული ხარები. ჩაფიქრებული იყო ჯარნაც.

— რამ ჩაგაფიქრათ, ამხანაგო ჯარნა? — გაუღიმა შოფერმა, — განა სულ ერთი არ არის ბოლოს და ბოლოს? ყავარიც სახურავია და კრამიტიც.

— განა არ ვიცი? — უპასუხა ჯარნამ, — მაგრამ ფრონტზე დაჭრილს ბავშვის გული აქვს. მას ცოტა რამ გაახარებს, მეც მინდა გავახარო ჩემი სასიძო, შენ ხარ ჩემი ბატონი.

შოფერმა გაკვირვებით შეხედა ჯარნას. სოფელთან სვლა შეანელა და სთქვა:

— რას ნიშნავს ნასწავლი კაცი!... თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, ამხანაგო ჯარნა! ახლა ერთი ჭიქა ღვინოც გამახარებს, თუ კაცმა ღიმილით მომაწოდა, იმიტომ კი არა, რომ ღვინო მიყვარს. არა! ფრონტის შემდეგ უფრო ვაფასებ სიცოცხლეს. არ ვიცი, სწორად გამოვთქვი თუ არა ჩემი აზრი? მაგრამ მართალი კია, თქვენ კარგად ბრძანეთ.

ავტომ შუა სოფელი მოილია. გზა ხიდზე შედგა. ხიდზე სიმინდით სავსე ურმები გამწკრივებულიყვნენ. შოფერმა მოტორი დაიოკა.

— აქ სადღაც ჩემი ძველი მეგობრის სახლი უნდა იყოს, — სთქვა ჯარნამ, — უჩა მოქიასი.

— ეგერ ისიც, ხიდიდან მესამე, — და შოფერმა ხელი გაიშვირა კაბინის ფანჯრიდან, — საწყალი, ქარს გადაუძვრია სახურავი. ახლა როდისღა დახურავს? შვილები ფრონტზე ჰყავს, — ორი შვილი. თავადაც გერმანელებთან ნაომარია, სამი თითი აკლია ხელზე, სად შეუძლია ახლა უჩას ასეთი მძიმე ტვირთის აწევა?

ჯარნამ კაბინის კარი გამოაღო და ოდას მიაჩერდა. ოდა უქუდო კაცივით იდგა.

— მე აქაური ვარ და კარგად ვიცნობ უჩას, — დაიწყო შოფერმა, — წყურვილით რომ კვდებოდეს, წყალი მასვიო, არ გეტყვის. მორიდებული კაცია.

— ვიცნობ, ვიცი, — ჩაილაპარაკა ჯარნამ. — ვნახო ერთი, როგორ ცხოვრობს, რა ხანია არ მინახავს.

— ამხანაგო ჯარნა, დროს ვკარგავთ სამი საათის გზა კიდევ წინ გვიდევს. გვიან ჩავალთ და ოსტატებსაც ვერ მოვუყრით თავს, — უთხრა შოფერმა.

მაგრამ ჯარნა უკვე ჩამოვიდა და მძიმე ნაბიჯით უჩას ჭიშკრისაკენ გაემართა. შოფერმა გაზი გამორთო და კაბინის კედელს მიეყრდნო.

ჯარნამ შემოუარა ოდას. ოდის კარები ჩაკეტილი იყო. გაეცინა ჯარნას: კარის ჩაკეტვა რას უშველის, თუ სახურავი ღიააო? მოლა მასრადინას არაკიაო.

ვიღაც მოხუცი ქალი მოადგა ღობეს და გასძახა:

— ვინ გნებავთ, ბატონო?

— უჩა სად არის, ბატონო, თუ იცით? — ჰკითხა ჯარნამ.

— ყანაშია, ბატონო! უჩაც, მისი ცოლიც. მოგეხსენებათ, მოსავალი უნდა ავიღოთ სასწრაფოდ. ომია, რას იზამ — უპასუხა სიტყვამახვილმა ქალმა.

— ჰოო! უჩა ისეთი რკინაა, რომელსაც ჟანგი არ მოეკიდება, — გაიფიქრა ჯარნამ, — სახლი თავღიად დგას, ის კი ყანაშია...

— თქვენ ვინ იქნებით, ბატონო? რა გადავცე უჩას? — განაგრძო მოხუცმა ქალმა, — ალბათ, დახმარების კომისიიდან იქნებით, ხომ? ძალიან კარგი გიქნიათ, ბატონო, რომ მობრძანდით, თორემ მარტო უჩა რას გახდებოდა? გუშინ იყო კომისიიდან და თქვა: ქაღალდი უნდა დავწეროთო,

(დასასრული მე-4 გვ.).



პირველი დახმარება. სურათი მხატ. ალ. ზურაბოვისა.

სერგო კლდიაშვილი

# ქალი ხაბარდიანი

ერთი ზაფხული მაღალ მთებს შორის ჩაბუდებულ სოფელში გავატარე. მარტოობაში თავი დავისაკუთრე და სულიერი სიმშვიდე დავიბრუნე, რამდენიმე კვირა უზრუნველი ვიყავი.

როცა მზიანი დღე იყო, ტყეში ვხეტიალობდი, მთის პატარა მდინარეში თევზებს ვიჭერდი, ან ჩრდილქვეშ ბალახზე ვიწექ და ოცნებაში შექმნილ სამყაროს მინდობილი წმინდა ლურჯ ცას შევცქეროდი.

ასეთი გართობა თავდაპირველად ნეტარებად მიმაჩნდა. მეგონა, რომ ამიერიდან დაუნანებლად მივატოვებდი ქალაქს, წინანდელ ცხოვრებაზე უარს ვიტყოდი და პირველყოფილ ბუნებას სამუდამოდ შევუერთდებოდი.

ბოლოს ამაზედაც ფიქრი მომწყინდა, ისევ ოთახს დავუბრუნდი, გადავსინჯე თაროზე დალაგებული წიგნები და რამდენიმე ძველი ტომი საკითხავად ამოვირჩიე.

ერთ ტომში ფერგადასული ფოტოგრაფიული პორტრეტი ვიპოვე, ოდესღაც, იქნებ შემთხვევით, ჩაედვათ და შემდეგ დავიწყებოდათ. სურათს მეორე გვერდზე რაღაც წარწერა აჩნდა. ვეცადე, მაგრამ ვერ ამოვიკითხე. დროსა და მტვერს მელანი წაეშალა. სურათზე იყო ახალგაზრდა ქალი ხაბარდაში.

— აი კიდევ ახალი გასართობი!— ვუთხარი ჩემ თავს—შეგიძლია უცქირო ამ მშვენიერ სახეს და წარმოიდგინო რომანტიული წარსული, როცა მისი აბრეშუმის ხაბარდა შრიალებდა!

სოფლიდან დაბრუნებისას ისევ ხარბად დავეწაფე ქალაქს. მიხაროდა ქუჩის ხმაური, დილით გაზეთი, ანტრაქტები თეატრში, მეგობრებთან ღამის თევა. საბოლოოდ დავრწმუნდი ახლა, რომ სხვაგვარად ცხოვრება არ შემეძლო.

მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. სწორედ მაშინ, როცა მჯეროდა ვუბრუნდებოდი ჩვეულ წარსულს, ვიგრძენ ვიღაც ახალი შემოიჭრა ჩემს დღეებში, მაკლდა ვიღაც და მარტოობის შხამს მაწვეთებდა.

რამ ააფორიაქა, ვინ აამღვრია ჩემი ცხოვრების მდინარება? ოთახშიაც კი, სადაც ყველა ნივთს, ყოველ წვრილმანს ისე შეჩვეული ვიყავ, რომ მათ აღარც ვამჩნევდი, ახლა მრავალი რამ ფერშეცვლილი და სხვანაირი მეჩვენებოდა. თვალი ხშირად რაღაცას ეძებდა, ერთი საგნიდან მეორეზე მოუსვენრად გადადიოდა. ბოლოს იმ მდგომარეობამდე მიველ, რომ დიდხანს შინ დარჩენა მიმძიმდა. ვცდილობდი გავცლოდი ოთახს. სხვაგან ყოფნას ვრჩეობდი, სადაც იმედი მქონდა ნაცნობიც არ შემხვდებოდა. ქალაქის ძველ უბანს ვეტანებოდი. დავეხეტებოდი გადმოკიდებულ აივნებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩებში, ჩაუვლიდი მტკვრის ნაპირებს და ბოლოს ნარიყალას ნანგრევების ამართს შევუდგებოდი. რა სიმაღლიდან დაცქეროდა წმინდა ცა, რა ალერსიანი იყო ეთერის ლურჯი ხავერდი ოდნავ შერხეული გუმბათებიდან აფრენილი მტრედებით!

დავუბრუნდებოდი თუ არა ოთახს, მოუსვენრობა ისევ მაწამებდა. მაბრაზებდა კედლის სიმაღლეზე ამართული სარკე. იქედან სიცივე გადმოდიოდა. ასე მეგონა, რომ ყველაფერი მასში ჩაიძირა და ახლა მეც მიპირებდა ჩათრევას.

სარკეს გაზეთები ავაკარი, ეს გაუმაძღარი სამყარო ბრმა გავხადე და ამით დავიმორჩილე. შვება ვიგრძენ. მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. რა იყო ის, რაც შინ სიმშვიდეს მიკარგავდა?

დავარიალე ყველა თარო და ჩავკეტე ნივთები. შესაძლოა მოგონება, შეერთებული რომელიმე ნივთთან, აღვიძებდა და მიახლებდა მივიწყებულ წარსულს?

ერთხელ, მოწყენილობის წუთებში, გადმოვიღე და გადავფურცლე სოფლიდან ჩამოტანილი ძველი ტომები. გაყვითლებული და გამხმარი ქაღალდი იმტვრეოდა და ცვიოდა. ერთს წიგნში ისევ ვიპოვე სოფელში ნახული უცნობი ქალის პორტრეტი... ახალგაზრდა სახეს სიდარბაისლეს ოდნავ აძლევდა გრძელი და განიერი ხაბარდა. ქალი სურათიდან მიმზერდა ცოცხალი, ბავშვური თვალებით... შუაზე გაყოფილი თმა, ნასათუთევი ხელები, გრძელი კაბის ბოლოდან ოდნავ უჩნდა მარცხენა ფეხსაცმელის წვერი...

ამ დღიდან სურათი მაგიდაზე დავტოვე.

სულ მალე ისე შევეჩვიე მას, რომ მოწყენილობას ვგრძნობდი, თუ არ ვხედავდი. მან ისევ შემაყვარა შინ ყოფნა. სითბო და ნათელი შემოიტანა ოთახში ამ გოგონას სახემ.

სამუდამოდ საიდუმლოდ რჩებოდა, თუ ვინ იყო ის და რა სახელს ატარებდა. ვიცოდი ვერავინ მეტყოდა და ამიტომ მე თითონ მოვიგონე... მანანა ვუწოდე.

შემეძლო ათასი სხვა სახელი მომეგონა და ნამდვილი არცერთი არ ყოფილიყო, მაგრამ თუ ასე შევარქვი, ეს იმიტომ, რომ ერთხელ მეჩვენა თითქო ვიღაცამ ჩამჩურჩულა.

იმ საღამოს ჩვეულებრივზე ადრე დავბრუნდი შინ, დაღლილი ვიყავი, მაგრამ დაძინების მაგიერ მაგიდასთან დავჯექი და ისევ ქალის პორტრეტს ცქერა დავუწყე, ვუმზერდი დიდხანს, თავდავიწყებამდე და მეჩვენა, რომ მისი პატარა მსუქანი ტუჩები შეირხენ და გაიხსნენ. და რომ ეს მოლანდება არ იყო, ამაში დავრწმუნდი, როცა უეცრათ მისი ხმაც მომესმა.

— თქვენი თვალები ჩვეულებრივად მშვიდი ზღვის ფერისაა, ახლა კი თითქო ღელვის წინ ამღვრეული. სახეზე დაღლილობა გემჩნევათ. იმის მაგიერ, რომ დაისვენოთ, მაგიდაზე დახრილხართ და რამდენიმე საათია თვალს არ მაშორებთ. თქვენი ასეთი ქცევა მაკვირვებს...

— მანანა! — წამოვიძახე შეშინებულმა ამ მოულოდნელობისაგან.

ოცნება იყო და საკუთარი სიტყვები მესმოდა, თუ ოდესმე გაგონილი მქონდა სურათზე აღბეჭდილი ქალის ცხოვრება და ახლა ის მეხსიერებამ გააცოცხლა?

— ჩვენ ერთმანეთის ტყვეობაში ვართ!—ჩუმად ვთქვი მე, ისე ჩუმად, რომ ჩემივე ხმა ოდნავ მომესმა.

ცხადია, მან გაიგონა ჩემი სიტყვები, რადგან მაშინვე შევნიშნე, რომ ნათელ თვალებში გაკვირვება და შიში გამოესახა.

— თქვენ უცნაური კაცი ხართ!— შეშფოთებით სთქვა მან.

ის იყო დავაპირე თავის მართლება და მისი დამშვიდება, როცა უეცრად აშრიალდა აბრეშუმის ხაბარდა და ქალი გადმოვიდა სურათიდან. მან რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, შორიახლოს დადგა და ოთახს თვალი მოავლო.

ერთხანს გაკვირვებით უცქირა ავეჯს, სურათებს, ელექტრონის სანათურს, ტელეფონის აპარატს, შემდეგ თანდათან გათამამებულმა წიგნები აათვალიერა და გადაფურცლა.

— ყველაფერი უცნაურია!—ჩაილაპარაკა გაოცებულმა—ასეთი რამ არასოდეს მინახავს. ყველაზე უცნაური კი ისევ თქვენ ბრძანდებით. ტანსაცმელი სხვანაირი გაცვიათ, რაღაც სხვანაირადაც ლაპარაკობთ და მოქცევაც ისეთი არა გაქვთ, როგორც უცხო ქალიშვილთან გმართებთ... უცხო ქვეყანაში მგონია თავი...

ყოველი მისი მოძრაობის დროს ირხეოდა ხაბარდა, აბრეშუმის შრიალი ისმოდა, თანაც იფრქვეოდა უნაზესი სურნელი და ტკბილ ბურანში მხვევდა.

როგორც კი რამდენიმედ დავძლიე მღელვარებას, გადავწყვიტე ამეხსნა მისთვის ზოგი რამ იქიდან, რაც საკვირვლად და უცნაურად ეჩვენებოდა. ამასთანავე ვცდილობდი ვყოფილიყავ ისეთივე თავაზიანი, როგორიც, ალბად, მისი დროის და მისი წრის მამაკაცები იყვნენ.

მაგრამ რაც მეტს ვუამბობდი მით უფრო ვგრძნობდი, რომ ვერაფერი ვერ გამიგო, მგონი კიდევ უფრო ვეუცნაურე და შევაშინე.

მალე დავრწმუნდი რომ ასე იყო.

მან შეშფოთებით მიმოიხედა, მომაჩერა ცვედიანი ბავშვური თვალები და თითქმის მუდარით წარმოსთქვა:

— მე მარტო ვარ უცხო მამაკაცთან, ასეთი საქციელი შეუფერებელი და სამარცხვინოა.., თქვენ კეთილ ადამიანად მეჩვენებით, მომეცით სიტყვა, რომ არსად იტყვით, არავისთან გაამხელთ ამ საიდუმლოს.

ასე სთქვა, გრაციოზულად თავი დამიკრა და ჩქარი ნაბიჯით კარებს მიაშურა.

ისე მოულოდნელად მოხდა ეს, რომ თავდაპირველად ვერც კი მოვისაზრე თუ რას აპირებდა. მაგრამ გავიდა თუ არა ოთახიდან და კარი მოიხურა, მივხვდი, რომ წასვლა განეზრახა.

მალე გამოვერკვიე, ვწვდი კარებს, გარედ გავიჭერ და გავსდიე.

ღამე იყო, თეატრებიდან და კინოებიდან გამოსული ხალხი ტალღად მიდიოდა ქუჩაში. ხმაურობდა ტრამვაი, ავტომობილი, სახურავზე დადგმულ მიკროფონიდან ჯაზი ღრიალებდა.

დაურიდებლად შევიჭერი ბრბოში, მუჯლუგუნებით მივწი-მოვწიე მიმავალნი, ვაცქერდებოდი ყველა სახეს, ჩაცმულობას, შევიხედე მრავალი სახლის მისავალში, ვეძებნიდი ყველგან, სადაც მიმიწვდებოდა, ვეძახდი, ვთხოვდი გამოჩენილიყო, მაგრამ ქალი ხაბარდაში ვერსად ვიპოვე.

— ეს სიგიჟეა!—ვიძახდი და მივრბოდი—ის წავიდა კრინოლინში ჩაცმული, იმ წარღვნის დროინდელ ტანსაცმელით, ვინც დაინახავს, აუცილებლად თვალს მიაჩერებს. რა თქმა უნდა, ის ეგონებათ კინოს, ან ესტრადის მსახიობი. მაგრამ ვაი თუ თავათ სთქვას, ვინ არის და საიდან გაჩნდა ახლა ქალაქში! თუმცა კიდეც რომ გამოიჩინოს ასეთი გულუბრყვილობა, მაინც არავინ დაუჯერებს. მხოლოდ გიჟად ჩასთვლიან და შესაძლოა დააპატიმრონ: მას კი პასპორტი არა აქვს და ვერც ვინმე დაუდასტურებს ვინაობას... ის ველარ იპოვის თავის სახლს, ღამის გასათევიც არსად არა აქვს, აღარავინ ჰყავს ნაცნობი და მახლობელი. ყველაზე უფრო საშინელი კი ისაა, რომ მან არ იცის, თუ როგორ უნდა იაროს ახლანდელ ქალაქში...

მის დროში მიზოზინებდა ჩარდახიანი ურემი, რონინებდნენ ლანდოთი, კარეტით, და ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა თავისუფლად შეიძლებოდა, ახლა კი დაჰქრის ტრამვაი, ავტომობილი, მოტოციკლეტი.

შიშმა ამიტანა, როცა მისი ბედი წარმოვიდგინე. მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, რომ ვიპოვიდი. იქნებ მოისაზრა და ჩემს ოთახში დაბრუნდა?

— ის გონიერი გოგონაა და აუცილებლად ასე მოიქცეოდა!—ვარწმუნებდი თავს.

ეს უკანასკნელი იმედიც გამიქრა, როდესაც დავბრუნდი და ჩემი ოთახის კარები შევაღე. იქ არავინ იყო.

ღონემიხდილი ჩავემხვე სავარძელში. აღარ ვიცოდი რა მექნა, რა გზას დავდგომოდი.

— მე დავკარგე ის, სამუდამოდ დავკარგე. ველარასოდეს ველარ ვნახავ —ცრემლები მომადგა სასოწარკვეთილს—სადღაც დაიღუპება და ვერც გავიგებ მის ამბავს!

მისი კაბისაგან დატოვებული სურნელი ჯერ ისევ იგრძნობოდა ოთახში. ეს კიდევ უფრო აცხოველებდა მასზე ფიქრს და მღელვარებას მიმატებდა.

თუ რა მოხდა შემდეგ, ამას მეორე თავში გავიგებთ.

# ზარნიში
(დასასრული)

ყავარი უნდა ვიშოვოთო; დაგეხმარებითო, მაგრამ ორი კვირა მაინც უნდაო. ახლა, ვერა ხედავ, როგორ ჩქარა გააკეთეს საქმე?

ეტყობოდა ქალი ლაპარაკის გუნებაზე იყო. ღობეს გადმოაბიჯა და ჯარნასკენ გასწია.

— რაც წინად ერთ თვეს კეთდებოდა, ახლა ერთ კვირას კეთდება.

— ამაში მართალი ბრძანდებით, — უპასუხა ჯარნამ და შოფერს გასძახა: — ტერენტი! ამხანაგო ტერენტი! შემოიყვანე მანქანა.

შოფერს გაუკვირდა. რამდენი ხანია ის თავის დირექტორთან მუშაობს, მაგრამ უცნაურობა არასოდეს შეუმჩნევია მისთვის. ჯარნა იყო დინჯი, წყნარი ადამიანი. შვიდჯერ გაზომავდა და ერთხელ სჭრიდა. მაგრამ ახლა... ახლა სრულიად გაუგებარია, რა საჭიროება მოითხოვს სხვის ეზოში მანქანის შეყვანას?

შოფერმა მანქანა მაინც შემოიყვანა ეზოში და უსიტყვოდ მიაჩერდა ჯარნას.

— ამხანაგო ტერენტი, დავცალოთ მანქანა! მეც მოგეხმარები...

4.

საღამოს, როცა ოფლნადენი უჩა და მისი ცოლი კრამიტის ხორასთან იდგნენ, მეზობელი ქალი მესედ იმეორებდა:

— ასე დამიბარა, ჩემო ბატონო, ჯარნა ლეჟავა ვარო. ეგ სახლი გადახუროსო. ნურავითარი ქარისა ნუ ეშინიაო. ზეგ ქალს ვათხოვებო და მესტუმროსო, გამიხარდებაო.

უჩა ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ დინჯად შემოუარა წითელ კრამიტს და უთითო ხელი მოუთათუა ამ მოულოდნელ სტუმარს, რომელიც დღეიდან მასპინძელი უნდა გამხდარიყო მისს ჭირნახულ ოჯახში.

— აი მეგობრობა! — დაარღვია სიჩუმე ცოლმა.

— ხომ იცი, რა უბრალოა ჩემი ძველი ხანჯალი? — უთხრა უჩამ ცოლს, — მაგრამ ოქროს ზარნიში კასდევს და თვალს ვერ მოაშორებ. ასეა ადამიანებშიც. ჯარნასთანა უანგარო ადამიანები არიან ოქროს ზარნიშივით რომ ამლევენ ცხოვრებას შნოსა და ეშხს...

ახალი მთვარე ლიცლიცით აეკრა ცას. ეზოში ხალისიანი სინათლე გადმოიღვარა. კომშისა და მოხარშული ქიმინდის ტკბილი სურნელება შეეგება ახალ მთვარეს. თვითმფრინავმა გადაუარა ეზოს და შავი ზღვისაკენ გასწია. ვიღაც უცნობს მიჰყავდა ის თვითმფრინავი, რომ დაეცვა ეს ეზო, ეს სურნელება, ეს კრამიტი და ის ადამიანებიც, ოქროს ზარნიშივით რომ ალამაზებენ ჩვენს ქვეყანას...

[illegible]

# „ბაგრატიონი"
## აფხაზეთის რუსულ სახელმწიფო თეატრში

აფხაზეთის რუსულმა სახელმწიფო თეატრმა მაყურებლებს უჩვენა ახალი პატრიოტული სპექტაკლი — ა. სამსონიას „ბაგრატიონი". თეატრის ეს მორიგი პრემიერა მაყურებელმა კარგად მიიღო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ნაკლოვანებას, რომელიც შემდგომ უნდა გამოსწორდეს, შეიძლება ითქვას, რომ თეატრის კოლექტივმა დაძლია მის წინაშე მდგარი რთული ამოცანა.

პიესის ავტორი ა. სამსონია ცდილა აესახა სახელგანთქმული მთავარსარდლის პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის შესანიშნავი და მეტად მდიდარი ცხოვრების უკანასკნელი დღეები, მისი გმირული ბრძოლა ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ და სიკვდილი. ბაგრატიონის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო როლს ასრულებს მსახიობი ბურდაკოვი. იგრძნობა, რომ მან ბევრი იმუშავა თავისთავზე და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

კარგად არის წარმოდგენილი გამოჩენილი ფელდმარშალი მ. კუტუზოვი. ხელოვნების დამსახ. მოღვაწე ვ. გოფრატი მაყურებელმა მეორედ ნახა ამ როლში (პირველად იგი წარმატებით გამოვიდა „შორეულ წარსულში"). მსახიობმა შესძლო ცნობილი მხედართმთავრის დამახასიათებელ თვისებათა სწორი გადმოცემა. განსაკუთრებით მაღალ აქტიორულ ოსტატობას იჩენს იგი მესამე მოქმედებაში, ბაგრატიონის ბანაკში ყოფნისას.

მსახიობი ა. კარატაევი ამჯერად გამოვიდა ბარკლაი დე-ტოლის როლში. ამ გამოჩენილი გენერლის ცივი და ამასთან გულკეთილი, თავის ტაქტიკაში დარწმუნებული და დიდი პირადი ტრაგედიის ადამიანის სახის გამოკვეთაზე უსათაოდ მეტი უნდა ემუშავა მსახიობს. ბაგრატიონთან შეხვედრების დროს, აქა-იქ მის თამაშში გამოსჭვივის შიში და შეშფოთება, რაც იმის შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ბარკლაის ხანდახან ეჭვი მოიცავდეს ხოლმე თავისი გეგმების სისწორეში. ეს ნაკლი მსახიობმა უნდა გამოასწოროს და მეტი სიმტკიცე გამოიჩინოს მთელს თავის თამაშში.

ჯარისკაც სტეპანიჩის საინტერესო სახე შექმნა ფ. ბელსკიმ. მან წარმოგვიდგინა უბრალო, მამაცი მეომარი, ალალ-მართალი რუსი ადამიანი. გენერლების ერმოლოვისა და სენ-პრის საინტერესო სახეები შექმნეს აგრეთვე მსახიობებმა ს. პონომარიოვმა და ვ. ვედერნიკოვმა. კარგი არიან თავიანთს სადებიუტო გამოსვლებში ახალგაზრდა მსახიობი ქალები რ. რეიზნერი (ლიზა) და თ. ბელოუსოვა (ეკატერინა პავლეს-ასული).

ნიჭიერმა მსახიობმა ა. ნირვანოვმა წარმოგვიდგინა ცნობილი პარტიზანი დენის დავიდოვი.

სპექტაკლ „ბაგრატიონს" მაყურებელი გულთბილად იღებს, რადგან მასში მოთხრობილია ჩვენი ხალხის ისტორიული გმირული ბრძოლების შესანიშნავი ეპიზოდები, წარმოდგენილია სახე საყვარელი სარდლის პეტრე ბაგრატიონისა, რომლის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული რუსული იარაღის ისტორიულ გამარჯვებებთან. განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით იგონებს მას ჩვენი ქვეყანა დღეს, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმიის დევგმირი მებრძოლები, გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით ანადგურებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და ყოველდღიურად აღწევენ ახალ ისტორიულ გამარჯვებებს.

**გ. მერკვილაძე.**

# „სამშობლო და გამარჯვება"

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში გაიმართა მხატვრული საღამო თემაზე „სამშობლო და გამარჯვება". საღამოს პროგრამა წარმოადგენდა მეტწილად სამამულო ომის თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებთა მონტაჟს. მონტაჟში გამოყენებული იყო ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები.

„სამშობლო და გამარჯვების" დადგმა განახორციელა სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილებამ (გამგე ანა ღვინიაშვილი). დადგმის საერთო ხელმძღვანელი იყო ნოდარ ჩხეიძე. მონტაჟში მონაწილეობას ღებულობდნენ სასახლის ბავშვთა თვით მოქმედი წრეები: ოქტომბრელთა გუნდი (ხელმძღვანელი ბიძინა წულაძე), მეჩონგურეთა გუნდი (ხელმძღვანელი აქვსენტი მეგრელიძე), მხატვრული კითხვის წრე (ხელმძღვანელი ნოდარ ჩხეიძე) და ცეკვების წრე (ხელმძღვანელი ანტონ ჩიხლაძე და ელისაბედ რობენი.)

„სამშობლო და გამარჯვება" იხსნება ოქტომბრელთა გუნდის მიერ შესრულებული სიმღერით „მოვდივართ, მოგვიხარიან". მონტაჟში ნაჩვენებია ბავშვების ზეიმი, სიხარული და სიხალისე. ბავშვები მღერიან, ცეკვავენ, კითხულობენ ლექსებს.

სცენაზე სინათლე ჰქრება. სიბნელეში გაისმის ა. აბაშელის ლექსი „1941 წლის 3 ივლისი". უცბად წითლად განათდება ბელადის სურათი. სურათის ქვემოდ ჩამწკრივებულან ქულაჯებჩაცმული ვაჟები, თითქოს ბრძოლის მოლოდინში, ლექსის კითხვის დამთავრების შემდეგ ცეკვავენ ხორუმს, ქართულს საომარ ცეკვას.

მონტაჟში კარგადაა გამოყენებული გრ. აბაშიძის პოემის „ძლევის ქედის"-ის ნაწილი, სადაც ნაჩვენებია განგაში გერმანელ თვითმფრინავთა მოსალოდ- [illegible]

[illegible] რომელსაც განსაკუთრებით კარგად ასრულებს ოქტომბრელთა გუნდი. სიმღერას მთიულური ცეკვა სცვლის, ცეკვას—დ. მეგრელის ცნობილი ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ", ლექსს კვლავ სიმღერა — „გლესავ და გლესავ ნამგალო", სიმღერას—გ. ლეონიძის ლექსი „ქართლის ბაღი". ლექსის დამთავრების შემდეგ მეფანდურენი ასრულებენ სიმღერას ბელადზე.

აქ მონტაჟში ჩართულია საბჭოთა ერების ნაციონალური ცეკვები: უზბეკური, მოლდავური, აზერბაიჯანული და ოსური მასიური ცეკვა „სიმგა". ცეკვა საერთო ტაშით მთავრდება. სცენაზე მყოფნი ფეხზე დგებიან. სინათლე ჰქრება. მხოლოდ ერთი პროჟექტორი დარბაზის მაღლა გამოჭრილ ფანჯრებს ანათებს. ისმის პიონერთა საყვირების ხმა და სამი წითელყელსახვევიანი გოგონა ფანჯრიდან გადმომდგარი მოწოდებით მიმართავს მოსწავლე ახალგაზრდობას: — „ამხანაგებო, ვისწავლოთ ფრიადებზე, ვისწავლოთ ისე, რომ სტალინმა გვითხრას: — „ჩინებულია, ჩემო ბავშვებო".

მონტაჟში ალაგ-ალაგ გასახალისებლად ჩამატებულია საბავშვო სიმღერები და შ. მღვიმელის ლექსები: „ნაბია და წკიპა", „ცელქები", ი. გრიშაშვილის „ბაბაჯანას ქოშები", ო. თუმანიანის „ძაღლი და კატა".

„სამშობლო და გამარჯვების" ნორჩ შემსრულებელთა შორის გამოირჩეოდნენ: ნ. გუგუნავა, ლ. მაჭარაშვილი და მ. შამათავა (მკითხველები) იაშვილი (მონტაჟის წამყვანი), ლ. საყვარელიძე, რ. ხაბურზანია და მ. კაპანაძე („ნაბია და წკიპას" წამკითხველნი). და განსაკუთრებით მ. კინწურაშვილი, რომელმაც ლამაზად და გრძნობით წაიკითხა ლექსი „დილა".

საერთო მოწონება დაიმსახურა გ. ტყეშელაშვილმა, რომელმაც ჩინებულად იმღერა „სიმღერა შალამბერიძეზე" და ც. ბადრიაშვილმა, რომელმაც მოხდენილად იცეკვა უზბეკური.

რასაკვირველია, მონტაჟი „სამშობლო და გამარჯვება" და მისი შესრულება, როგორც პირველი ცდა, არ იყო [illegible]

**გივი გოგიჩაიშვილი**



ძველი თბილისის ქუჩა. ნახ. მხატ. ი. გაპ-ნერისა.

## თედო სახოკია
# ხატოვანი სიტყვა-თქმანი

[illegible]

...მი რომანი", 94).

კერაზე ცეცხლი რო ჰქრება, იგულისხმება, რომ ეს ცეცხლის გაქრობა გამოიწვია ოჯახის წევრების მოსპობამ, ამოწყვეტამ. ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რადაა ისე მძიმე მოსასმენი ქართველის ყურისათვის ასეთი წყევლა: „კერა დანელებულო", „დაგევსოს კერა", „კერაზე წყალი დაგესხას", „ჩაგიქრეს კერა". და სხვ...

**კვალში ჩაგდება** (ვისიმე)—**პრდ.** კვალში გადასროლა. **გდტ.** გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაგდება, დაბრკოლება, ხელის შეშლა. **მგლ.** „თითქო კარგად მიდიოდა საქმეო, არხეინად ვიყავ, **მაგრამ კვალში ჩამაგდეს** და ყოველივე ჩემს იმედს კბილი მოეჭრა".

გუთნით მიწის ხვნის დროს ცალი ხარი უღლისა მოუხნავზე, ყამირზე რომ მიდის, მეორე კვალში, ბელტოგადაბრუნებულ ხნულში, მიაბიჯებს ფეხებს. რამდენად პირველისათვის არის ადვილი ყამირზე სიარული და წევა გუთნისა, იმდენად მეორისათვის არის საძნელო ყოველი ფეხის გადადგმა ნახნავში, სადაც ახალმოხნულ მიწაში ეფლობა და იქიდან ფეხის ამოღება საქმეს უჭირებს. მერე, ფეხს ხან სად წამოსდებს ბელტებს და ხან სად!.. ამიტომ კვალში ჩასაგდებად ხარების კარგი პატრონი ყოველთვის უფრო ღონიერ და მაგარ ხარსა თუ კამეჩს არჩევს, რომ, შედარებით სუსტთან, უფრო ადვილად გაუძლოს სიძნელეს და ყამირით მიმავალ ხარს გაუსწოროს მუშაობა.

ამიტომაც ყოველდღიურ ცხოვრებაში თქმა **კვალში ჩაგდება** გადაიქცა ადამიანის გაჭირვებული ყოფის გამომსახველ ხატოვან თქმად.

**კოვზი ნაცარში ჩაუვარდა**—**პრდ.** კოვზი ნაცრით მომესვარა. **გდტ.** ცუდი საქმე დამემართა, ხელი მომეცარა, არ გა-

[illegible]

...დან წამსვლელები მიდიოდნენ სოფელ ქვათახევზე, იქიდან მანგლისში გადადიოდნენ, მანგლისიდან წალკაში და მერე აღზევანს ჩადიოდნენ. კახეთიდან-კი—სართიჭალაზე, სართიჭალიდან —ბორჩალოზე, ბორჩალოდან — გუმბრზე და მერე აღზევანს. მარილის მოსატანად მიდიოდა მთელი ქარავანი, ოთხმოც, ას ურმისაგან შემდგარი. ერთ გზობას მთელ ერთ თვეს უნდებოდნენ. მოგზაურობა სახიფათო იყო. მეურმეებს უხვდებოდნენ თურქები, სძარცვავდნენ მარილზე წასულთ; თუ გაუძალიანდებოდნენ, ჰხოცავდნენ კიდეც.

მარილზე წასულთაგან იშვიათად თუ ნახევარი ხალხი ცოცხალი დაბრუნებულიყო. ვინც მარილის მოსატანად მიდიოდა, წინდაწინვე გამოიტირებდნენ ხოლმე. და იქამდე იყო იქ წასვლა საშიშროებასთან დაკავშირებული რომ საკმაო იყო ვისმე ეთქვა: მავანი მარილზე წავიდაო, რომ მსმენელი დარწმუნებულიყო, რომ იქ წამსვლელი უკან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა. ბოლოსა და ბოლოს, თქმაც დარჩა — **მარილზე წავიდა**, რომელიც გამოჰხატავდა წასვლას ისეთ ადგილზე, საიდანაც კაცი უკან ვეღარ დაბრუნდება, გამოჰხატავდა მოუსავლეთს, საიქიოს,—სიკვდილს.

ქვემო სვანეთში ძველად მარილი ხონიდან ამოჰქონდათ. გზა ცხენის წყლის ხეობით ჩადიოდა და მეტად სახიფათო იყო. მარილზე წასულნი ხშირად იღუპებოდნენ. ამიტომ თქმა— „ხონში მარილზე წასვლა" გადაიქცა სიკვდილის სინონიმად. რომ ვინმე მოკვდებოდა, იტყოდნენ: „აჩად ჯიმთე ხონთე" ანუ: ხონში წავიდა მარილზეო!..

# ქრონიკა

## მუსკომედიის თეატრში

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი რესპ. დამს. მოღვაწე დ. ძნელაძე) ამზადებს ნ. მიქავას და გ. აბაშიძის პიესას „მსახიობის სიყვარული". პიესა დაწერილია სამამულო ომის თემაზე, კონკრეტულად კავკასიის დაცვის დიად ეპოპეას ეხება, მოქმედება ვითარდება აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა ა. კერესელიძემ, პიესას სდგამს რესპ. დამს. არტისტი ბ. გამრეკელი, მხატვრულად აფორმებს მხატვარი რ. ჯავრიშვილი, ქორეოგრაფები არიან დ. მაჭავარიანი და ჯ. ბაგრატიონი.

სპექტაკლში მონაწილეობენ: თ. როდე-ჩიჯავაძე, თ. მთვარაძე, ვ. იანვარაშვილი, მ. ინგილო, ბ. ჩერპელაშვილი, ვ. ჩოხელი, ბ. ჩეჩელაშვილი (რეს. დამს. არტ.), ვ. გერსამია, ზ. ოსეფაშვილი, ი. ბაკაკური, შ. ტეტუნაშვილი, გ. ჰუმბაძე, ნ. არეშიძე, ბ. კობერიძე, ა. ტურიაშვილი.

პრემიერა ნაჩვენები იქნება დეკემბერში.

## კალე ბობოხიძე — „გამარჯვების სიმღერები"

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა კალე ბობოხიძის ლექსების წიგნი სახელწოდებით „გამარჯვების სიმღერები". წიგნში დაბეჭდილია პოეტის მიერ სამამულო ომის პერიოდში დაწერილი ლექსები: „ჰიმნი დიდ მხედართმთავარზე", „მედგარი შვილი კავკასიონის", „სიმღერა სოციალისტური შრომის გმირ ლ. პ. ბერიაზე", „სიმღერა სტალინზე", „გამარჯვებას ვულოცავთ", „სიმღერა სამშობლოზე", „ბელადი გვიხმობს", „მოსკოვო ჩემო", „გმირულ არმიას" და სხვა.

პოეტის ლექსების უმთავრესი თემა არის სამშობლოს დაცვა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, გმირობა. პოეტის ლექსები გამსჭვალულია დედა-სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით, პატრიოტიზმითა და მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენით.

წიგნი შეიცავს 50 გვ. და ღირს 12 მან.

## პიესა „სასიძო" აფხაზურ თეატრში

დეკემბრის პირველ რიცხვებში აფხაზური სახელმწიფო თეატრი დასდგამს ოსი დრამატურგის—შავლოხოვის პიესას „სასიძო". პიესას დასდგამს საქართველოს დამსახურებული არტისტი ბორის ფაჩალია.

მთავარ როლს შეასრულებს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აზიზ აგრბა.

## აფხაზეთის მწერალთა კავშირში

ამ დღეებში შესდგა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად მოისმინა პოეტ ტ. აჯბას ინფორმაცია ფსხუში მივლინებულ მწერალთა ბრიგადის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გამგეობამ საჭიროდ სცნო უახლოეს ხანში ასეთი ბრიგადები მიავლინოს ტყვარჩელის საწარმოებზე და მოწინავე კოლმეურნეობებში.

## „ჰამლეტი" აფხაზურ სცენაზე

მწერალმა ჯოჯუამ აფხაზურ ენაზე სთარგმნა შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი", რომელსაც მიმდინარე სეზონში დასდგამს სოხუმის აფხაზური დრამის თეატრი.

პიესის დადგმა მინდობილი აქვს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს—რეჟისორ აზიზ აგრბას.

## „არშინ მალ-ალან"
## აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში

აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დრამატიულმა დასმა 20 ნოემბერს მაყურებლებს უჩვენა ჰაჯიბეგოვის მუსიკალური კომედია „არშინ მალ-ალან". მსახიობთა შორის როლების სწორი განაწილებით, მოხდენილი მიზანსცენებით და დამაკმაყოფილებელი მხატვრული გაფორმებით,—თეატრმა შესძლო საინტერესო სპექტაკლის შექმნა. პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ საქ. რესპ. დამსახურებული არტისტები ლეო ჰედია (ასკარა) და მიხეილ გაგნიძე (ვალი), მსახიობები—ნორა ყიფიანი და ფ. არაბაშვილი (გიულჩორა), მიხეილ ჩუბინიძე (ბეგი), ელზა შავნიანი (ჯირხანი), ლიდა ყარალაშვილი (ასია), თამარ მაჭარაშვილი (თელი), ტარას ხორავა (სულეიმანი).

კომედია დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გაბუნიამ.

## ფერწერისა და გრაფიკის გამოფენა

უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიხსნა მოსკოვისა და ლენინგრადის ცნობილ მხატვართა ფერწერითი და გრაფიკულ ნაწარმოებთა გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ისეთი დიდი საბჭოთა მხატვრების მიერ შესრულებული სურათები, როგორნიც არიან: ა. გერასიმოვი, ბ. იოგანსონი, ს. გერასიმოვი, მ. სარიანი, ი. გრაბარი, ბ. იაკოვლევი, კუკრინიკსები, პ. სოკოლოვ-სკალია, გ. ნისკი, ნ. დორმიდონტოვი, გ. ვერეისკი, ვ. ბაკშეევი.

გამოფენილია 300-ზე მეტი სურათი. აქედან უმრავლესობა სამამულო ომის თემაზეა დაწერილი. ნამუშევართა შორის არის საბჭოთა კავშირის გმირთა პორტრეტებიც.

## მიხეილ ჩიქოვანი
# ილია მურომეცი
## ქართული თარგმანის გამო

მდიდარ რუსულ ხალხურ სიტყვიერებაში ეპიურ ლექს-სიმღერებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. XVII საუკუნიდან დაწყებული რუსეთში დიდი გულმოდგინებითა და ხალისით გროვდებოდა ძველი გმირული გადმოცემები. ასეთი ხასიათის ლექსები ლიტერატურაში ცნობილია „ბილინების" სახელით. რევოლუციამდელ დემოკრატიულმა ინტელიგენციამ ზეპირსიტყვიერების ძვირფასი ნიმუშები შეკრიბა და გადაარჩინა დაკარგვას, დრო-ჟამის შემმუსრავ გავლენას. ამნაირად წარმოიშვა ბილინების ცნობილი კრებულები: კირშა დანილოვის (1804), პ. რიბნიკოვის (1861-67), ა. ჰილფერდინგის (1873), კირეევსკის (1862-74), ა. მარკოვის (1901), ონჩუკოვის (1904), ვს. მილერის (1908), ბ. სოკოლოვის (1918), ასტახოვის (1938), ს. ანდრეევის (1938), ავტორ-მთქმელ მართა კრიუკოვასი (1939) და სხვ. ამ ისტორიულ მნიშვნელობის შრომებში თავმოყრილია მრავალი ჩანაწერი ბილინური ეპოსისა. ძირითადი თქმულებები (ილია მურომეცი, დობრინია, ალიოშა პოპოვიჩი) წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტის სახით, ეს უკანასკნელნი მოპოვებული არიან ცენტრალურ რუსეთში, მის სამხრეთ ნაწილში, უფრო კი — ჩრდილოეთსა და ციმბირის მხარეში.

რუსულმა ხალხურმა პოეზიამ ბილინებით მსოფლიო სახელი მოიპოვა. არა ერთი შრომა დაბეჭდილა ევროპაში ბილინების შესახებ, არა ერთხელ გამოუწვევია მკვლევართა აღტაცება ოლონეცელ მთქმელთა ფენომენალურ მეხსიერებას, როცა წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი ათი ათასზე მეტ ლექსს ზეპირად გადმოსცემდა.

რა არის ბილინა? ბილინა ეპიური სასიმღერო ლექსია, მისი თვისებებია ჰეროიკა, ეპიურობა და ამღერება. გმირული ხასიათი ყველა ბილინაში თვალსაჩინოდ მოსჩანს. მთქმელი ჰიპერბოლას ხშირად მიმართავს: გმირის ხელკეტი 90 ფუთს იწონის, მოწინააღმდეგეს იგი ღრუბლებში აისვრის ან ცხენსა და კაცს შუაზე გაჰკვეთს, კასრინახევრიან არაყის სასმისს სულის ერთი მოთქმით დაცლის და სხვ. მაგრამ ხალხის ფანტაზია საზღვარს არასოდეს სცილდება და მისტიზმში არ გადადის.

ბილინის სიუჟეტი ეპოსის კლასიკური ფორმით ვითარდება. თხრობა ზვიადი და აუღელვებელია. მთელი თხზულება სიმღერით გადმოიცემა. პოეტიკაც ამგვარი ნაწარმოებებისა რთულია.

რუსი ხალხის მიერ შექმნილ საუკუნოებრივ სახეთა შორის ილია მურომეცს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამ ბუმბერაზზე მრავალგვარი გადმოცემა არსებობს. ილიას სახით მშრომელმა ხალხმა დიდიხნის ფიქრი და უშრეტი ძალა განასახიერა, შთაბერა რა მას თავისი უკვდავი სული.

პოეტ დავით გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი ბილინა (საბლიტგამი, 1944) ნათლად წარმოგვიდგენს ამ ბუმბერაზის კეთილ სახეს. სიმართლითა და ერთგულობით სახელგანთქმული ძველი კაზაკი დამპყრობელთა მძიმე უღლისაგან ანთავისუფლებს ქალაქ ჩერნიგოვს, კიევისაკენ მიმავალი გმირი გზადაგზა საარაკო საქმეებს ჩაიდენს, შემუსრავს დაუპატიჟებელ სტუმრებს — მძარცველებს და სამშობლო მხარეს მზიან ცხოვრებას დაუბრუნებს:

„ჩანს შავზე შავად ჩერნიგოვთან მტრის
ბნელი ძალა,
ჩანს შავზე შავად, ვითა გუნდი შავი
ყორნისა.
ლაღად მიუშვა ბედაური ბუმბერაზული
შესამუსრავად უთვალავი ბნელი ძალისა.
ჰგმირავდა შუბით და სთელავდა მტერს
ბედაური,
მალე გათელა და გაჟლიტა მან იგი ძალა
და მიაღწია ქალაქ ჩერნიგოვს."

თავიანთ მხსნელს ჩერნიგოველი გლეხები წმინდა რუსეთის მამაც ბუმბერაზს უწოდებენ და ვოევოდას ადგილს სთავაზობენ. სიმართლის მოყვარული ილია ვოევოდობაზე უარს ამბობს. გმირს არ იტაცებს ტახტი და წოდება.

გაჭირვების დროს ილია მხედრებს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ის იბრძვის არა პირადი პატივისა და გამდიდრებისათვის, ან მთავარ ვლადიმირის და აპრაქსია მეფის ასულისათვის, არამედ წმინდა სამშობლოს, მშობლიური მამულის — რუსეთის დასაცავად და მისი დიდებისათვის. იმ შავბნელ ხანაში, უხსოვარ დროში გლეხმა ილიამ ასახელა ჯერ მშობელი კუთხე—პატარა სოფელი კაჩაროვი, ქალაქი მურომი და მერე მთელი სამშობლო: გასწყვიტა უსჯულოთა ურდოები, შეიპყრო საზარელი ყაჩაღ-ბულბულა და კიევის სამეფოს მშვიდობიანობა განუმტკიცა.

ილია მურომეცის სახემ დიდი ცვლილებები განიცადა დროთა განმავლობაში. მას ბევრი ახალი მოტივი დაუკავშირდა, მაგრამ უმთავრესი — ეპოსის მამოძრავებელი იდეა ურყევი დარჩა. ილია მურომეცი სამართლიანობისა და პატრიოტიზმის იდეის მატარებელია. ასეთადაა იგი წარმოდგენილი ახალ ქართულ თარგმანშიც.

ილია მურომეცი რუს ხალხს უსაზღვროდ უყვარს. მის სახელს დამღერიან ჩრდილოეთის გრძელ ღამეებში, სამხრეთის ველებსა და აღმოსავლეთის ტაიგაში. ყაჩაღ-ბულბულას შემმუსვრელი და მოძალადეთა დაუძინებელი მტერი — ილია მურომეცი თანამედროვეობასაც ეხმაურება. მისი საარაკო თავგადასავლის გახსენება ძალას და ენერგიას ჰმატებს სამამულო ომის ფრონტებზე მყოფ მეომრებს.

ბილინის საფუძველი შორეულ წარსულშია. მისი წინამძღვრები საგმირო თქმულების, ლირო-ეპიური ლექსის — კანტელინას სახით წინაკლასობრივ საზოგადოებაში უნდა შექმნილიყოს, მაგრამ სრულყოფილი ბილინის შექმნა არ შეიძლება მივაწეროთ თემურ საზოგადოებას. ბილინური ეპოსი რუსეთის სახელმწიფოსთან ერთად ჩამოყალიბდა. ზეპირსიტყვაობამ შესძლო მხატვრული ფორმით აესახა რუსი ხალხის ხანგრძლივი გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისა და საკუთარი ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის. რუსმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო სტეპებიდან მოწოლილი ურდოების, თათრების, ჩრდილოეთელ ქონფაკ-რაინდების და სხვათა მოსაგერიებლად. ილია მურომეცის, მთავარ ვლადიმირის, ყაჩაღ-ბულბულას და სხვა პერსონაჟებში კოლექტიური პოეტის მიერ მხატვრულად შერწყმულია ისტორიული პირი ფანტაზიურ გმირთან, ისეთ ბუმბერაზთან, რომელსაც შესწევს ჭკუა და მკლავის ძალა ვერაგი მტრის დასამარცხებლად.

ბილინური ეპოსი მშრომელთა ფართო მასების შემოქმედების ნაყოფია. სახალხო ტალანტები ჰქმნიდნენ შორეულ წარსულში გმირულ ლექსებს, ასევე დღესაც სახალხო პოეტები ჰქმნიან ახლებურ ბილინებს, ე. წ. „ნოვინებს".

შესრულების ტრადიციაც ამჟღავნებს, რომ ეს ჟანრი ფართო მასების პოეტური აღმაფრენის შედეგია. ბილინის პოპულარობა არ ნიშნავს, რომ მისი შესრულება ყველას შეუძლია. ასეთი გმირული ლექსის მოთხრობას თავისი ოსტატობა სჭირდება. ბილინის მთქმელები, ქართველი მესტვირეებისა და კავკასიელი აშუღების მსგავსად გამოირჩევიან თავიანთი ხელოვნებით, ხალხური არტისტობით.

ბილინის მომღერლის, მთქმელ ქალის დაუვიწყარი სახე დახატული აქვს მაქსიმ გორკის — „კლიმ სამგინში". მწერალმა გამოიყენა 1896 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში სრულიად რუსეთის გამოფენაზე ირინე ფედოსიევას ერთა გამოსვლა: მაქსიმ გორკი სწერს: „ესტრადაზე მოკლე ნაბიჯით, რწევით გამოვიდა გვერდზე წახრილი მოხუცი დედაკაცი, შავ ჩითებში გამოწყობილი, გაცრეცილ თავსაფარმოხვეული, სასაცილო, მაგრამ კეთილი გრძნეული, ნაოჭებითა და კუზურებით სავსე, მზარეულის მრგვალი სახითა და მღიმარე ბავშვური თვალებით." დიდმა მწერალმა ამ გლეხის ქალის ნაამბობში დაინახა კეთილისა და ბოროტის მთელი ისტორია, ოლონეცელი დედაკაცი ერთნაირად მართლად და ბრძნულად მოუთხრობდა მსმენელებს ყველაფერ იმაზე, რასაც სიცოცხლე ეწოდება. 1896 წ. საგაზეთო ფელეტონში ასე ასურათებდა გორკი ამ მთქმელის შემოქმედებას: „ფედოსიევა შთაგონებულია; მას იტაცებს თავისი სიმღერა, იგი დატყვევებულია, თრთის, სიტყვებს აცხოველებს სახის მოძრაობით. მსმენელი სდუმს, უფრო და უფრო ემორჩილება რა გულში ჩამწვდომ გოდების ორიგინალობას. მსმენელი შეპყრობილია სევდიანი, მწარე ცრემლებით სავსე მელოდიებით. მაგრამ მოთქმა თავის მძიმე ხვედრზე, მომტირალი რუსი ქალის მოთქმა შეუწყვეტლად მოედინება პოეტი ქალის ბაგეებიდან. მოედინება და სულში აღვიძებს მწვავე ტკივილს, ნაღველს, თითოეული ჰანგი ამ მოტივისა გულთან ახლოა, ჭეშმარიტად რუსული, ნახატით არამდიდარი, არც მრავალფეროვნებით გამორჩეული, მაგრამ სავსე გრძნობით, გულწრფელობით, ძლიერებით და ყოველივე იმით, რასაც ვერ იპოვით ხელოვნების ხელოსანთა პოეზიაში და მის თეორეტიკოსებში, რასაც ვერ მოგცემსთ ფიგნერი და მერეჟკოვსკი, ვერც ფოფანოვი, ვერც მიხაილოვი, ვერც ერთი ადამიანი, ვინც გვაძლევს ბგერას შინაარსის გარეშე".

ასე უბრალოდ, წრფელი გრძნობით და გატაცებით მღერიან სოფლად ბილინებს. ილია მურომეცის გმირული თავგადასავალი განუყრელი ნაწილია მთქმელების რეპერტუარისა.

ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს მოძმე რუსი ხალხის ზეპირსიტყვიერებას. ჩვენ ამჟამად მრავალი თარგმანი გვაქვს რუსული ლიტერატურიდან, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მის ფოლკლორზე, კერძოდ ბილინების შესახებ. ამის გამო ჩვენ ხალისით ვეგებებით დავით გაჩეჩილაძის თარგმანს, როგორც დიდი საქმის კარგ დასაწყისს.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, ბ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, პ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13 (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შე 08136